ქ. მარქსის სახ. საქ
სსრ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 18 ივლისი პარასკევი
№ 29 (2206)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

## თეატრალური სეზონის პრობლემები

დამთავრდა თეატრალური სეზონი, დაეშვა ფარდა და დაიწყო ფიქრი ახალ სეზონზე, პიესებზე, რომელნიც სცენურ გარდასახვას ელიან, მასშტაბურ პრობლემებზე, რომელთაც ცხოვრება გვთავაზობს და თეატრიც, როგორც „სარკე ცხოვრებისა", ამ პრობლემებს თავის საკუთარ ენაზე, თეატრის ენაზე გადაწყვეტს.

როგორი იყო ეს კავშირი თეატრისა ცხოვრებასთან, შეძლო კი ქართულმა თეატრმა განვლილ სეზონში ნათლად და ღრმად წარმოჩენა იმ დიდი მოვლენებისა, რაც ჩვენს სინამდვილეში ხდება? ვნახეთ სცენაზე ჩვენი ნამდვილი თანამედროვე, ჩავწვდით ღრმად მის სულიერ სამყაროს, ვიცხოვრეთ მისი ცხოვრებით, ვიგრძენით სიმძაფრე ახლისა და ძველის, ბოროტისა და კეთილის, მოწინავისა და დრომოჭმულის იმ „ტრადიციული" ბრძოლისა, რაც არასოდეს ნელდება, რაც მუდამ ახალია?

გასული სეზონის დადგმებში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლები.

ეს სპექტაკლები გამოირჩევიან არა მხოლოდ იდეური და პოლიტიკური სიმახვილით, არამედ ჭეშმარიტად მაღალმხატვრული დონით (მატროვის პიესა რუსთაველის, გრიბოედოვის და თეატრალური სახელოსნოს სცენებზე). შეიძლება ითქვას, რომ შეიქმნა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, ჩაიწერა ახალი ფურცლები ქართულ ლენინიანაში.

არ შეიძლება სიამაყეს არ გვგვრიდეს ის დიდი წარმატება, რაც წილად ხვდა რუსთაველის თეატრს ინგლისში გასტროლებისას. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, ხელოვანის ჭეშმარიტად პატრიოტული სახით, დიდი მხატვრული ამოცანების გადაწყვეტის ნიჭით მოხიბლა თეატრმა ინგლისელი მაყურებელი. შექსპირის სამშობლოში შექსპირის ახლებური გადაწყვეტის ასე თამამად ჩვენება არ იყო ჩვეულებრივი „საგასტროლო საქმე".

შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის თეატრმა საბჭოთა თეატრალური ხელოვნების პროპაგანდის საქმეში კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა. ეს მომენტი არსებითი და დამახასიათებელია ბოლო წლების ქართული კულტურისათვის. ამ გასტროლებით განსაკუთრებით ამაღლდა თანამედროვე ქართული თეატრის პრესტიჟი. უცხოელმა მაყურებელმა თვალნათლივ დაინახა რომ მოძმე რესპუბლიკების ეროვნულ კულტურებში იქმნება მსოფლიო მხატვრული დონის ნაწარმოებები.

მაგრამ, როცა თეატრალურ სეზონზე ვფიქრობთ, არ შეიძლება გული არ დაგვწყვიტოს ჯერ იმ ფაქტმა, რომ აგერ უკვე რამდენიმე საგასტროლო ტურნესათვის, ცნობილ ქართულ აკადემიურ თეატრს არ აღმოაჩნდა არც ერთი თანამედროვე ქართული პიესა, ბოლოს კი იმან, რომ გასტროლების შემდგომ, მთელი სეზონის მანძილზე, რუსთაველის თეატრმა ვერ იმუშავა თანამედროვე ქართულ პიესებზე; დაიდგა მხოლოდ ერთი ქართული პიესა — თამაზ ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის", სეზონის გახსნისას გამოქვეყნებული განაცხადი და საკმაოდ მოზრდილი სია რეპერტუარისა კი ფაქტიურად ვერ განხორციელდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ სეზონის დასაწყისში ნაჩქარევი განაცხადების გაკეთება ჩვენი თეატრებისთვის ჩვეულ ამბად იქცა. თეატრები არ უფრთხიან იმ უხერხულობას, რაც ასეთ დროს იქმნება არა მხოლოდ პიესის ავტორის — მწერლის წინაშე, არამედ მაყურებლის წინაშეც. არ შეიძლება საჯაროდ თქვა ამა და ამ პიესას ვდგამო და აღარ დადგა; არ შეიძლება ათასობით მაყურებელს რაიმეს დაპირდე და დანაპირები არ შეუსრულო. საქმე რომ ერთი-ორ გამონაკლისთან გვქონდეს, სათქმელად არ ეღირებოდა, მაგრამ ვლაპარაკობთ უკვე „დაკანონებულ", დასაგმობ ტრადიციაზე, რაც ამ სეზონში აღარ უნდა განმეორდეს. თეატრის სარეპერტუარო განაცხადი უნდა დგებოდეს მთელი წლის მანძილზე, დრამატურგებთან თანმიმდევრული მუშაობის, პიესების საფუძვლიანი შესწავლის, თანამედროვე ქართული თეატრისა და დრამატურგიის მდგომარეობის ღრმა გააზრების გათვალისწინებით.

დრამატურგებთან მუშაობის კარგ ტრადიციას მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი გასულ სეზონშიც აგრძელებდა. ეს ეტყობა თეატრის რეპერტუარსაც. თეატრმა გამოიყვანა ახალგაზრდა ავტორები, გაბედულად მისცა გზა მათ პირველ პიესებს და არ შეიძლება ეს ფაქტი უყურადღებოდ დარჩეს. მაგრამ, სამწუხაროდ, სეზონის ყველა ნამუშევარი არ აღმოჩნდა თვით ამ თეატრისათვის შესაფერის მაღალმხატვრულ დონეზე. ყველა დადგმა ვერ გამოხატავს მარჯანიშვილელთა მაღალ აქტიორულ და რეჟისორულ შესაძლებლობებს. რეპერტუარის შექმნაში არ იგრძნობა ერთიანი, მყარი კრიტერიუმი, ყველა პიესა, რომელსაც თეატრი ხელს კიდებს, არ შეესატყვისება მის დღევანდელ მხატვრულ სახეს.

ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი გახდა თბილისის საოპერო თეატრის მდგომარეობა. მკითხველს ალბათ ახსოვს ამ თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია და დიალოგი თეატრის ახალ ხელმძღვანელთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტ ზურაბ ანჯაფარიძესთან. წამოიჭრა ბევრი შემოქმედებითი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაც არ იყო იოლი. და აი, ამ პრობლემებზე კვლავ მწვავედ იმსჯელა ამას წინათ გამართულმა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმმა. გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები. მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ თეატრისაგან კვლავ დაბეჯითებით მოითხოვა სარეპერტუარო პოლიტიკის გადასინჯვა, წამყვანი კლასიკური საოპერო და საბალეტო სპექტაკლების მაღალი მუსიკალური და რეჟისორული დონე.

უსამართლობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ბოლო ხანს თეატრში არ იგრძნობა გარკვეული ძვრები. დაწყებული შემოქმედებითი აღმავლობის დასტური იყო ვერდის ოპერა „ოტელო", რომელმაც მუსიკალური დონით და სადადგმო კულტურით მსმენელის და კრიტიკის საერთო აღიარება მოიპოვა. მაგრამ საოპერო თეატრის მაყურებელი ვეღარ დაჯერდება ცალკეულ სპექტაკლებს, რომელიმე ერთი დადგმის წარმატებას, იგი სამართლიანად მოითხოვს მკვეთრ გარდატეხას თეატრის მთელს შემოქმედებითს საქმიანობაში.

ჩვენი — საზოგადოებრიობის, თეატრალური კრიტიკის, პრესის ყურადღება აკლდა საქართველოს პერიფერიის თეატრებს. იშვიათად ვმსჯელობთ ხოლმე ამ თეატრების შემოქმედებითს ცხოვრებაზე, რომელიც აღსავსეა წარმატებით და მარცხით, სიძნელეთა თავდადებული გადალახვით თუ პრობლემებით, რომელთაც მხოლოდ თეატრი ვერ გადაწყვეტს ჩვენი საზოგადოებრიობის, შემოქმედებითი ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერის გარეშე.

ცალკე უნდა ითქვას საბავშვო და მოზარდთა თეატრებზე, რომელნიც განსაკუთრებულ გულისხმიერებას და დახმარებას ელიან. ეს თეატრები ჩვენს ახალ თაობას ზრდიან. პრობლემები, რომლებიც მათ აღელვებთ, მოზარდი თაობის აღზრდის ძირეული პრობლემებია და არ შეიძლება ამ თეატრების რეპერტუარს განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცეს. მდგომარეობა კი ამ მხრივ საბავშვო თეატრებში უფრო დამაფიქრებელია. ახალი ქართული ორიგინალური პიესები არ ჩანს, თემები, რომელიც მოზარდებს აინტერესებთ, დრამატურგიაში ასახვას ვერ პოულობს, რის გამოც თეატრი ზოგჯერ მოზარდი თაობის ცხოვრების მიღმა რჩება.

დიახ, ჩვენს თეატრებს კვლავ აკლია ორიგინალური დრამატურგია, კვლავ გრძელდება „სარეპერტუარო შიმშილი" და ამ დროს მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციას მთელი წლის მანძილზე არ განუხილავს არც ერთი პიესა, არც ერთი დრამატურგისათვის არ მიუცია რეკომენდაცია, სადისკუსიოდ არ შეხვედრია არც ერთ თეატრს, რაც იმის დასტურია, რომ თეატრალური სეზონი ფაქტიურად მწერლობის ყურადღების გარეშე დარჩა.

რას გვპირდება ახალი სეზონი? როგორი იქნება იგი, გადაწყვეტს იმ პრობლემებს, რაც წინა სეზონში გადაუწყვეტელი დარჩა? აი კითხვები, რომელიც იბადება მაშინვე, როგორც კი მიმდინარე სეზონის ფარდა იხურება. ეს კითხვები კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მომავალი სეზონი იწყება საბჭოთა ხალხის მძლავრი აღმავლობის დღეებში. ჩვენი ხალხი ერთსულოვნად ემზადება დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის. ამ აღმავლობამ, ამ საყოველთაო ბრძოლამ ჩვენი ცხოვრების ყოველ უბანზე, ხალხის არნახულმა გმირობამ არ შეიძლება გამოხატვა არ პოვოს თეატრის სცენაზე, რომელიც მუდამ იყო და არის „სარკე ცხოვრებისა".



## მოსკოვის ოლიმპიური ჩირაღდანი

კიდევ ერთი დღეც და ოლიმპიური ჩირაღდანი მოსკოვს ესტუმრება. საბჭოთა კავშირის დედაქალაქი ყოველმხრივ მზად ხვდება ამ დიდ სპორტულ დღესასწაულს. მილიონობით ტელემაყურებელმა, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ, ნახა დიდებული ოლიმპიური სოფელი, რომელიც აღემატება ყველა წინა ოლიმპიადების ოლიმპიურ სოფლებს, როგორც მშენებლობის ხარისხით, ასევე მახვილგონივრული არქიტექტურული გადაწყვეტით, კომფორტით, თანამედროვე ტექნიკის ყველა მიღწევით.

მე მინახავს ტოკიოს, მეხიკოს, მონრეალისა და რომის ოლიმპიური სოფლები. სხვაობა მართლაც თვალსაჩინოა მოსკოვის ოლიმპიური სოფლის სასარგებლოდ; გარდა კომფორტისა და მყუდროებისა, ოლიმპიური სოფლის კულტურულ ცენტრს ძალზე მრავალფეროვანი პროგრამა აქვს შემუშავებული, რათა ოლიმპიადის მონაწილე სპორტსმენებს, ჟურნალისტებსა და, საერთოდ, დედაქალაქის სტუმრებს გააცნოს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მუსიკალური, ქორეოგრაფიული, თეატრალური, კინო და საესტრადო ხელოვნება; გამოცემულია ათასგვარი ბუკლეტი და ცნობარი, სადაც სტუმრები საფუძვლიანად გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის სტრუქტურას, მის ჰუმანურ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ პრინციპებს; გაეცნობიან მოძმე რესპუბლიკების ცხოვრებას, მათ მიღწევებს კულტურულ თუ შრომით ფრონტებზე. თვით ოლიმპიადისადმი მტრულად განწყობილი უცხოელებიც ვერ მალავენ აღტაცებას და აღიარებენ, რომ როგორც სპორტსმენთა, ასევე ჟურნალისტთა და ჩამოსულ ტურისტთა მომსახურეობას იდეალური პირი უჩანს.

დიახ, ოფიციალურად სულ რამდენიმე დღეში გაიხსნება ოლიმპიადა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე დაიწყო და დაიწყო აქ, ჩვენს დედაქალაქ თბილისში, სადაც ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში". ამ ტრადიციულ წინასაოლიმპიადო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ესტუმრა მსოფლიოს ორმოცზე მეტი წარმომადგენელი. მთლიანად ჩამოსული მეცნიერებისა და სპორტის სპეციალისტების რიცხვმა საგრძნობლად გადააჭარბა ათასს.

შემთხვევით არ აურჩევიათ თბილისი ამ დიდი სამეცნიერო კონგრესის ჩასატარებლად. ეს არჩევანი მდიდარი ქართული სპორტული ტრადიციების აღიარებაც იყო და მისი ოლიმპიური მიღწევების დაფასებაც. ქართველი სპორტსმენების წარმატება წინა ოლიმპიადებზე ძალზე თვალსაჩინოა. რესპუბლიკის ნარგზავნილებმა სამოცი ოლიმპიური მედალი მოიპოვეს, აქედან ოცი ოქროს მედალი; ასეთ წარმატებას ვერ დაიკვეხნის ბევრი ისეთი სპორტული ტრადიციების ქვეყანა, რომელთა მოსახლეობა მრავალი ათეული მილიონით განისაზღვრება.

კონგრესის მაღალი დონე განსაკუთრებულად ცხადჰყო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისალმებამ, სადაც ვკითხულობთ: „გულითადად მივესალმები მსოფლიო სამეცნიერო კონგრესის — „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში" — მონაწილეებსა და სტუმრებს ქალაქ თბილისში მისი გახსნის დღეს.

ღრმად სიმბოლურია, რომ თქვენი კონგრესი მიმდინარეობს ქვეყნად ყველაზე ავტორიტეტული სპორტული მოვლენის — მოსკოვის XXII ოლიმპიური ასპარეზობის დაწყების წინ და ეძღვნება აქტუალურ პრობლემას — სპორტის ადგილსა და როლს კაცობრიობის ცხოვრებაში".

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების წაკითხვის შემდეგ თავის მხრივ დასძინა: „...ამჯერად მსოფლიო სამეცნიერო კონგრესის მუშაობის ადგილი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თბილისი გახდა, ამ გადაწყვეტილებას უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ რესპუბლიკის სამეცნიერო და სპორტული საზოგადოებრიობა, ყველა მშრომელი, მთელი ჩვენი ხალხი.

მინდა გამოვთქვა აგრეთვე რწმენა, რომ ეს იქნება ერთი იმ შეხვედრათაგანი, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანთა უკეთეს ურთიერთგაგებას, მათ შორის უფრო მჭიდრო, მეგობრული, უფრო გულითადი კონტაქტების დამყარებას, ადამიანთა სულის სითბოსა და მგზნებარებას ხომ შეუძლია გაალხოს ყოველგვარი ყინულიც. კერძოდ, „ცივი ომის" ჭირხლიც".

ოლიმპიური ჩემპიონობა უმაღლეს ტიტულად ითვლება მსოფლიოში. მის სიახლოვეს ვერ მოდის თვით მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალიც კი.

ხოლო ქალაქები, სადაც კი ოლიმპიური ჩირაღდანი აგიზგიზებულა, განსაკუთრებულად ამაყობენ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენით. მახსოვს, ტოკიოში როგორი სიამაყით მაჩვენეს ოლიმპიური სტადიონი. პირველად ცოტა გამიკვირდა, ვიფიქრე, სტადიონი, რომელიც ახლოსაც ვერ მივა თბილისის ცენტრალურ სტადიონთან, რა საჩვენებელია უბრწყინვალესი არქიტექტურით სახელგანთქმულ ტოკიოში-მეთქი. უმალვე მივხვდი, — სტადიონის არქიტექტურით კი არ ინონებდნენ თავს იაპონელი მასპინძლები, არამედ ფაქტით, რომ აქ გიზგიზებდა ოლიმპიადის ჩირაღდანი, რომ ტოკიო იყო XVIII ოლიმპიადის დედაქალაქი.

ახლა მთელი მსოფლიოს ყურადღების ფოკუსში მოსკოვია. ამიტომაც არ სიამოვნებს ზოგიერთ ქვეყანას მოსკოვის ოლიმპიადა. ოლიმპიური ასპარეზობის მთავარი დევიზი, მიზანი და არსი ხომ მშვიდობა და ხალხთა მეგობრობაა, კიდევ ერთხელ მოსკოვი ხდება დიდი მშვიდობის დედაქალაქი. აი, რა აცოფებს მათ, მაგრამ ვერავითარი ბოიკოტი ვერ გააფერმკრთალებს ამ დიდ სპორტულ დღესასწაულს.

560 სპორტსმენი დაიცავს ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსებას. აქედან თექვსმეტი სპორტსმენი ჩვენი რესპუბლიკიდან იასპარეზებს. ესენი არიან დავით კვაჭაძე (კრივი), ვიქტორ სანეევი და საიდა გუნბა (მძლეოსნობა), ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე და რევაზ ჩელებაძე (ფეხბურთი), თემურ ხუბულური, შოთა ხაბარელი და თამაზ ნამგალაური (ძიუ-დო), ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა), ლიანა ცოტაძე (წყალში ხტომა), ირინე გერასიმოვა (ცურვა), ნიკოლოზ დერიუგინი (კალათბურთი), ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი), ვახტანგ ბლაგიძე (კლასიკური ჭიდაობა), თამაზ იმნაიშვილი (სროლა).

თავისებური სპორტული გმირობაა და უნიკალური შემთხვევა, რომ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი მეოთხე ოქროს მედალზე აცხადებს პრეტენზიას, უნდა დავსძინოთ, რომ არც თუ უსაფუძვლოდ. ჩვენ იმედი გვაქვს მისი გამარჯვებისა. ძალზე ნაადრევად გადაწყვიტა დავით კვაჭაძემ გამოსთხოვებოდა აქტიურ სპორტს, მაგრამ სპეციალისტთა დაჟინებული თხოვნით იგი კვლავ დაუბრუნდა რინგს და მესამედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მედალი. ახლა იგი ახალი და უმაღლესი სპორტული ტიტულის მოსაპოვებელ კარიბჭესთან დგას და გამარჯვების იმედიც უნდა ვიქონიოთ.

ალბათ თბილისის „დინამოსაც" დაამშვენებს სამი ოლიმპიური ჩემპიონი, ვნახოთ, ყველაფერი წინაა და ოპტიმიზმის სრული საფუძველიც გაგვაჩნია.

სასიამოვნოა, რომ ოლიმპიადის მთავარი დირიჟორია ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ოდისეი დიმიტრიადი.

წინასაოლიმპიადო შეჯიბრებები, რომლებიც ჩვენში თუ სხვა ქვეყნებში ჩატარდა, უამრავი მსოფლიო რეკორდით და უმაღლესი რანგის მიღწევებით აღინიშნა. სწორედ ეს მაჩვენებლები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მოსკოვის ოლიმპიადა ძალზე მაღალ სპორტულ შედეგებს გვპირდება.

მაშ ასე, ხვალ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში დაიწყება XXII ოლიმპიადა.

ოლიმპიურმა ჩირაღდანმა უკვე მიაღწია მოსკოვის ოლქს, კიდევ სამი ათეული საათი და ოლიმპოდან წამოღებული ცეცხლი აგიზგიზდება მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

**გურამ ფანჯიკიძე,**
რესპუბლიკის სპორტის პროპაგანდის ფედერაციათა ბიუროს თავმჯდომარე.



## საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოზე

მიმდინარე წლის 7 ივლისს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს გაფართოებული სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი იური სუროვცევი.

სხდომაზე შეაჯამეს ქუთაისსა და მაიაკოვსკში 3-6 ივლისს ჩატარებული ვლადიმერ მაიაკოვსკის დღეების შედეგები.

აღინიშნა, რომ უკვე ტრადიციად ქცეულმა მაიაკოვსკის დღეებმა მაღალ იდეურ-პოლიტიკურსა და მხატვრულ-ლიტერატურულ დონეზე ჩაიარა, რაც საქართველოს სამწერლო ორგანიზაციის წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

წლევანდელი მაიაკოვსკის დღეების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა მაიაკოვსკის სახელობის პრემიების დაარსება.

გამოითქვა მოსაზრება, რომ მომავალში ამ დღეებში მონაწილეობა მიიღონ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმაც, რაც კიდევ უფრო მასშტაბურს გახდის ამ შესანიშნავ წამოწყებას. ამიტომ მაიაკოვსკის დღეები გათვალისწინებულ უნდა იქნას სსრკ მწერალთა კავშირის უცხოეთის კომისიის სამუშაო გეგმებში.

მაიაკოვსკის დღეების წარმატებით ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ამ ღონისძიებაში საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აქტიურ მონაწილეობას.

სამდივნოს სხდომამ მოიწონა მოსაზრება, რომ სამ წელიწადში ერთხელ ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცეს დღეების მონაწილეთა პოეტური კრებულები.

იური სუროვცევმა სხდომის მონაწილეებს გააცნო, თუ როგორ ემზადება სსრკ მწერალთა კავშირი სკკპ XXVI ყრილობის და სსრკ მწერალთა VII ყრილობის შესახვედრად, რა ღონისძიებებია დასახული ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის ღირსეულად შეხვედრისათვის:

სექტემბერში გაიმართება სსრკ მწერალთა კავშირის პლენუმი თემაზე „სსრკ მწერალთა VII ყრილობის მოწვევის შესახებ და სამწერლო ორგანიზაციის ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის წინ".

შემოდგომაზე ბაქოში ჩატარდება დიდი საკავშირო შემოქმედებითი კონფერენცია დევიზით „ხალხთა ძმობა ლიტერატურათა ძმობაა; მწერლის სიტყვა—აქტიური ძალაა საბჭოთა ადამიანის პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში".

მოსკოვში ჩატარდება სსრკ მწერალთა კავშირის კრიტიკის საბჭოს სხდომა, და ახალგაზრდა კრიტიკოსთა საკავშირო თათბირი.

დასახულია ღონისძიებები, მიძღვნილი ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების 40 წლისთავისადმი.

საბჭოთა ლიტერატურის დღეები ჩატარდება თურქმენეთში (სექტემბერი), მარითის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში (დეკემბერი) და კემეროვოს ოლქში (იანვარი).

მიმდინარე წელს აღინიშნება ავიცენას (იბნ სინას), დ. გურამიშვილის, ა. წერეთლის, ნ. ლორთქიფანიძის, ა. გრინის, ა. ბლოკის, ა. პროკოფიევის, ვს. ვიშნევსკის საიუბილეო თარიღები.

2-9 სექტემბერს ულან-ბატორში შედგება აზიისა და აფრიკის მწერალთა შეხვედრა თემაზე „ლიტერატურის როლი და მნიშვნელობა ადამიანის ფორმირების საქმეში".

ოქტომბერში მოსკოვში გაიმართება სოციალისტური ქვეყნების სამწერლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შეხვედრა.

დასასრულს იური სუროვცევმა, რომელიც მაიაკოვსკის დღეებზე ახალგაზრდა მწერალთა საკავშირო დელეგაციას ხელმძღვანელობდა, სსრკ მწერალთა კავშირის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას დღეების მაღალ იდეურ-მხატვრულსა და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისათვის.

სამდივნოზე გადაწყდა, რომ საქართველოს მწერალთა IX ყრილობა ჩატარდეს 1981 წლის გაზაფხულზე.

## ჩვენ, საბჭოთა ხალხი

### ბალტიისპირეთის ლიტერატურათა განვითარების პრობლემები

საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ორმოცი წლისთავს „ლიტერატურნაია გაზეტამ" და ლიტვის მწერალთა კავშირმა მიუძღვნეს ვილნიუსში გამართული „მრგვალი მაგიდა", რომელმაც იმსჯელა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ლიტერატურის განვითარების პრობლემებზე.

სხდომა გახსნა ლიტვის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, პროზაიკოსმა ვიტაუტას ბუბნისმა; იგი მიესალმა სტუმრებს — გამოჩენილ მწერლებს, ლიტერატურათმცოდნეებს, კრიტიკოსებს, რომლებიც ვილნიუსში ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

საქართველოდან დისკუსიაში მონაწილეობდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი, კრიტიკოსი გურამ ასათიანი; იგი თავის გამოსვლაში შეეხო მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურების ეროვნულ და ინტერნაციონალურ პათოსს და აღნიშნა:

ჩემი ინტერესი ბალტიისპირეთის ლიტერატურებისადმი ბოლო დროს ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედების გაცნობით გამოიხატება. მე, ასე ვთქვათ, ვერ შევიკავე თავი ცდუნებისაგან, და ავირჩიე ის, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო პერსპექტიულია, რაც გვიქმნის მომავლის იმედს და სიხარულის წინათგრძნობას.

უცხო თვალს, მიუხედავად სხვა რამ ნაკლისა, აქვს ერთი უპირატესობა — ალქმის სიახლე. ახალ ესტონურ პროზაში მე მიზიდავს ირონია. ეს მაღალი ინტელექტისათვის დამახასიათებელი ნიჭია, იგი გვეხმარება შევებრძოლოთ ყველაფერს, რაც ხელს უშლის ნამდვილ ადამიანურ არსებობას. ნურავინ იფიქრებს, რომ ირონია სისუსტის ნიშანია. მარტო ვოლტერის მაგალითიც იკმარებდა, რომ გაგვიქარწყლდეს ეს უამური აზრი.

ზოგჯერ უყვართ ილაპარაკონ ესტონური პროზის ერთგვარ „სიცივეზე". მაგამ რა სიცივე შეიძლება დავინახოთ, მაგალითად, ვაინო ვაჰინგის „მსახიობში", ან მატი უნტის „შიშველ ნაპირში", სადაც ყველაფერი ისე გწვავს, როგორც არვო ვალტონის, მარი საატის, რეინ საალურის საუკეთესო ქმნილებებში. გარეგნული თავშეკავება ხშირად ფორმაა, რომელიც მხოლოდ ხაზს უსვამს შინაგან დაძაბულობას. ჩემი შთაბეჭდილება ალბათ უფრო სუბიექტურია. მე ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა ესტონურ პროზაში კონსტრუქცია როდია მთავარი (მართალია, როგორც ტექნიკის ელემენტი ესეც არის), მე უფრო მეტად მათი გაშიშვლებული სიმართლე მოაცებს, პირდაპირი კონსტატაცია იმისა, რასაც მხატვარმა გვერდი არ უნდა აუაროს.

რაც შეეხება ახალგაზრდა ლიტველ პროზაიკოსებს, მინდა ვთქვა, რომ მათს შემოქმედებაში პირველ ყოვლისა მიპყრობს გულითადობა და გაბედულება, ან, უკეთ რომ ვთქვა, გაბედული გულითადობა, რომელიც ჩემი აზრით, მიწიდან მოდის, მშობლიური მიწის უძლიერესი განცდიდან, ცხოვრების ამ ფუძეთა-ფუძის მიმართ ერთგულებიდან.

„გაბედული გულითადობა", პირადად ჩემთვის ხელოვნური სიტყვათ შეხამება როდია, ეს სიტყვები ჩემს გონებაში თავისით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მაგალითად, იუზას აპუტისის ნოველების ტრიპტიქის „დროის მწვანე კლაკნილის" კითხვისას. აღმოჩენა იყო ჩემთვის შალტიანისის, გრანაუსკასის, კლიმასის, მიკულენაიტეს სახელები. მათ ნაწარმოებებში არის ნათელი თანაგრძნობა და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი გულითადობა.

და ბოლოს ახალგაზრდა ლიტვური პროზის კიდევ ერთ თვისებაზე მინდა შევჩერდე, რაც ჩემთვის უაღრესად მახლობელია, ეს გახლავთ მისი მეტად თავისებური ოპტიმიზმი. მე ვლაპარაკობ არა საერთოდ ცხოვრების სიყვარულზე, სიცოცხლის თანდაყოლილ ტრფიალზე, არამედ ტანჯვით მოპოვებულ სიცოცხლის რწმენაზე, იმაზე, რომ შესაძლებელია, აუცილებელია, გარდუვალია სიკეთე, ბედნიერება და სილამაზე...

ალბათ ბევრმა უკვე მოასწრო წაეკითხა ჟურნალ „ნოვი მირში" აკადემიკოს დ. ს. ლიხაჩოვის წერილი „შენიშვნები რუსულზე"... ვფიქრობ დამეთანხმებით, რომ ეს მეტად საჭირო წერილია.

მე ამ წერილში ვხედავ დროის მოთხოვნებს, და იმედი მაქვს, რომ ასეთი გამოკვლევები სხვა ეროვნულ კულტურებშიც წარმოებს. თუმცა შეიძლება ბევრმა ჩვენგანმა არ იცის თავისი ლიტერატურა და კულტურა ისე, როგორც ლიხაჩოვმა იცის რუსული.

ერთი სიტყვით, დიდი საბჭოთა მეცნიერის გამოსვლას მე აღვიქვამ როგორც თავისებურ მოწოდებას და გამოწვევას მთელი ჩვენი მრავალეროვნული კულტურების წარმომადგენლებისა, ამ სიტყვის ყველაზე კარგი, რაინდული გაგებით. ჩვენი მთავარი პათოსი, როცა ამ პრობლემებს ვეხებით, უნდა იყოს არა ის, რომ ვამტკიცოთ ეროვნული კულტურების საჭიროება და უფლებამოსილება. ეს, ჩემი აზრით, მიღწეული ეტაპია. დღეს უნდა ვილაპარაკოთ უფრო აქტუალურ და მნიშვნელოვან მოვლენაზე: საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა შედგება ისეთი ნაწილებისაგან, რომელთათვის დამახასიათებელია შინაგანი მრავალმხრივობა და სირთულე. ამაში მე მათ დიდ კულტურულ ღირებულებას ვხედავ; რადგან თავისებურება თუმცა დიდი რამ არის, მაგრამ ფოლკლორის დონეზეც მიიღწევა, ხოლო შინაგანი მრავალმხრივობა მაჩვენებელია განვითარებული სულიერი ცხოვრებისა.

# თეატრალური სეზონის პრობლემები

[illegible] რია ქართული მუსიკის წარმატებანი თუნდაც უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე, ქართველი ინსტრუმენტალისტების არნახული გამარჯვება საერთაშორისო სარბიელზე, ჩვენი კამერული, ვოკალური თუ ინსტრუმენტული ანსამბლების მაღალი ნიჭიერების საყოველთაო აღიარება. მნიშვნელოვანია ქართული მუსიკის მონაპოვარი და მაღალია მისი შეფასებაც როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს მიღმა. მაგრამ ყველაზე მეტად ცხადია, გვწყურია ჩვენი მუსიკალური თეატრის აღმავლობა, მისი აღიარება, ქართული ოპერისა და ბალეტის წარმატება და ამაში არაფერია გასაკვირი, რადგანაც მუსიკალური თეატრი — უნივერსალური ხელოვნებაა და გამარჯვება ამ ჟანრში კულტურის უნივერსალობაზე მეტყველებს, მისი დაუშრეტელი ძალების უტყუარი საბუთია.

დიახ, ჩვენ გვწამს, რომ მუსიკალური თეატრი დღევანდელი მუსიკალური ცხოვრების ცენტრად უნდა იქცეს. საოპერო თეატრი — ეს არის რამდენიმე ასეული მუსიკოსის გამთლიანება ერთ მხატვრულ ორგანიზმში, რომელიც მუსიკალური ხელოვნების ურთულესი ჟანრების — ოპერებისა და ბალეტების შექმნისათვის მოღვაწეობს. შემთხვევით არ მითქვამს, რომ მათი მოვალეობაა ოპერების და ბალეტების შექმნა. ეს გამოთქმა მაშინაც სამართლიანია, როდესაც საქმე უკვე არსებული ნაწარმოებების სცენაზე განსახიერებას ეხება. დიახ, ახლად წარმოდგენილი „კარმენი", „აიდა", „აბესალომ და ეთერი" ხელახლა იქმნება, ახალ ინტერპრეტაციას იღებს. ამიტომაც საოპერო თეატრი საწყობი კი არაა, რომლის რეპერტუარშიც ესა თუ ის დასახელებანი ინახება, საოპერო თეატრი კლასიკური მემკვიდრეობის მუდმივი განახლების, ახალი ინტერპრეტაციისათვისაა მოწოდებული. ჩვენ გვმართებს საოპერო და საბალეტო სპექტაკლების ღირებულების დადგენისას ამ კითხვას ვუპასუხოთ: ჩაითვლება თუ არა მისი სპექტაკლები ორიგინალურ ინტერპრეტაციებად, მიანიჭეს თუ არა შემსრულებლებმა მათ იმგვარი თვისებები, რომ შეგვეძლოს ლაპარაკი ჩვენი თეატრის საშემსრულებლო ხელწერაზე, მის უნარზე — წარმოდგენას მიანიჭოს თავისი განუმეორებელი ინდივიდუალობა.

მშობლიური კულტურის წინაშე საოპერო თეატრის უდიდესი მოვალეობაა თანამედროვე საოპერო და საბალეტო ნაწარმოებების შექმნა. კარგად ვიცით, რომ ეროვნული თეატრი არ არსებობს ეროვნული რეპერტუარის გარეშე. ჩვენ გვაინტერესებს როგორ ინახავს თეატრი ჩვენს მემკვიდრეობას, იმ საუკეთესოს, რომელიც ადრეა შექმნილი და როგორ იბრძვის, რათა მისი რეპერტუარი ახალი ოპერებითა და ბალეტებით გამდიდრდეს. ტრადიციულის შენახვის ერთადერთი ეფექტური საშუალებაა ინტერპრეტაციის მეოხებით მისი მოახლოება თანამედროვეობასთან, ახალი თვალთახედვით წაკითხვა, განახლება. ახალი რეპერტუარი კი თეატრისა და კომპოზიტორის შემოქმედებითი კავშირით განისაზღვრება. თანაც მათი თანამშრომლობა არ დაიყვანება იმაზე, რომ თეატრი მხოლოდ [illegible] თეატრის რეპერტუარი — ეს [illegible] წარმოდგენილი ნაწარმოებების რაოდენობა თავისთავად საგულისხმო მომენტია. იგი თეატრის პროფესიონალიზმის მაჩვენებელია. მაგრამ მეხსიერება მარტო რაოდენობრივ მხარეზე არ დაიყვანება: ყოველ თეატრს სტილისტური მრავალფეროვნება იზიდავს და ამავე დროს ყოველ თეატრს თავისი განსაკუთრებული სარეპერტუარო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს, განპირობებული მისი რეალური საშემსრულებლო ძალებით, ტრადიციებით და, ცხადია, საზოგადოებრივი ინტერესებით, ნაწარმოების არჩევანი, რომელიც არსებითად რეპერტუარში მის ხანგრძლივ სიცოცხლეს ითვალისწინებს, არ შეიძლება წუთიერი განწყობის, ვინმეს კაპრიზის ან რაიმე გარეგნული მიზეზით იყოს ნაკარნახევი. თეატრში წარმოდგენილ ნაწარმოებთა მრავალფეროვნება, მათი დროისა და სივრცის მსაზღვრელები თვით სარეპერტუარო პოლიტიკის საუკეთესო შემფასებლებია. შეიძლება თეატრის რეპერტუარი ისე ხელოვნურად დავიწროვდეს, რომ მასში მხოლოდ XIX საუკუნის რამდენიმე ნაწარმოები დარჩეს. შეიძლება ეს რეპერტუარი ფაქტიურად ერთი რომელიმე სკოლის ანდა მიმდინარეობის ნაწარმოებებზე დავიდეს, შეიძლება იგი საშუალო სირთულის ნაწარმოებებზე აიგოს. მაგრამ შეიძლება პირიქით, ოპერის განვითარების უკიდურესობანი გაამთლიანოს XVIII-XX საუკუნეების დამახასიათებელი მოვლენებით. შეიძლება რეპერტუარში სტილისტურად იმდენად განსხვავებული ნიმუშები მოხვდეს, რომ თეატრი არსებითად მათი დამაჯერებელი ინტერპრეტაციების შესაქმნელად უნივერსალური საშემსრულებლო აპარატის შექმნის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდეს. დღევანდელი თეატრი ბიზეცაა, ჩაიკოვსკიც, ვერდიც და მოცარტიც, მაგრამ ამავე დროს რიჰარდ შტრაუსიც, შოსტაკოვიჩიც, სტრავინსკიც, პროკოფიევიც, ბრიტენიც, გლიუკიც, მონტევერდიც და მრავალი სხვა ოსტატიც. დღევანდელ თეატრში მოვიდა ოპერები ბრეხტის სიუჟეტებზე, მოვიდა კლასიკოსთა ის ნაწარმოებებიც, რომლებიც ჩვეულებრივ სარეპერტუარო წრის მიღმა რჩებოდა. (დღეს, მაგალითად, მთელ მსოფლიოში ძლიერ ინტერესს იჩენენ ადრეული ვერდისადმი, XVIII საუკუნის მივიწყებული ნაწარმოებებისადმი). ყველაფერი ეს ჩვენმა თეატრმაც უნდა გაითვალისწინოს, ყველაფერი ეს ყურადსაღებია მისი მომავალი რეპერტუარის შექმნისას.

ოპერა და თეატრი! უკვე XVIII საუკუნიდან მუსიკალური ესთეტიკა უდიდეს ინტერესს იჩენს ამ ორ ტერმინში ნაგულისხმევი ჟანრების ურთიერთობის გარკვევისადმი. და ამას არა მარტო თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ საოპერო ხელოვნებამ ისეთი გზებითაც იარა, როცა მასში თეატრალური მომენტი კნინდებოდა და სცენაზე წარმოდგენილი საოპერო ნაწარმოები არსებითად კოსტუმირებულ კონცერტს ემსგავსებოდა. ისტორიას კარგად ახსოვს მომღერლები, რომელთაც ოპერის მხოლოდ მუსიკალური მხარე აინტერესებდათ და თეატრალურ პირობითობას, სცენურ მოქმედებას, დეკორაციებს ისე აღიქვამდნენ, როგორც გარდაუვალ ბოროტებას, წმინდა მუსიკალური საწყისის გამოვლენას ხელს რომ უშლიდა. მაგრამ ისტორიას ისიც ახსოვს, რომ საოპერო ხელოვნების დიდი რეფორმატორები დაუღალავად ისწრაფვოდნენ მუსიკალური თეატრის შექმნისაკენ, ოპერისა და დრამის გამთლიანებისაკენ, მუსიკალური ხელოვნების უპირატესობების გამოყენებისაკენ ამ სინთეტურ ჟანრში. მათთვის ოპერა, უპირველეს ყოვლისა, თეატრია, დრამატურგიული სიმძაფრით, ხასიათებით, ცხოვრებისეული საწყისის თვალსაჩინოებით, მწვავე ადამიანური განცდებით და ამ განცდების განსახიერებით არა მარტო მუსიკაში, არამედ აქტიორული ხელოვნების მეშვეობით, მეტყველი სცენური მოქმედებით, იმ გამომსახველობით, რომლის შემოტანაც შეუძლია თეატრში დეკორაციას, კოსტუმს, პლასტიკას, მიმიკას.

დღეს აღარავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ოპერა თეატრია და რომ მუსიკალური ნაწარმოების რეჟისორულ წაკითხვას სპექტაკლის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. დღეს კარგად ვიცით, რომ რეჟისორული კონცეფცია — ამას მოწმობს მსოფლიოს საუკეთესო თეატრების პრაქტიკა — ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ოპერის მუსიკალური ინტერპრეტაციისათვის, მსახიობთა თამაშისათვის. დღეს დაუჯერებელი იქნებოდა, რომ მომღერალს თავისი პარტია ჯერ კონცერტმეისტერთან შეესწავლა, მერე დირიჟორისათვის ეჩვენებინა და ბოლოს კი ამისათვის ის დაემატებინა, რასაც რეჟისორი ურჩევდა როლის განსახიერებისათვის. სცენა და მუსიკა, სცენური და მუსიკალური მოქმედება ერთმანეთის მეტ-ნაკლები ილუსტრაცია კი არ უნდა იყოს, არამედ კონტრაპუნქტს უნდა ქმნიდეს ნაწარმოების საფუძველში მდებარე იდეის გახსნისათვის. ამიტომაც დღეს რეჟისორს თეატრში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. დღეს მაყურებელი თეატრში მოდის სპექტაკლის სანახავად და არა მხოლოდ მომღერლის ხელოვნებით დასატკბობად. ამ ახალი მოთხოვნების სიმაღლეზე უნდა განვიხილოთ ჩვენი საოპერო თეატრის მუშაობა და კერძოდ მისი რეჟისორული ნამუშევრები. თეატრის სამეტყველო ენა ეროვნული კულტურის მშენებლობაში მისი წვლილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განზომილებათაგანია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამჟამად არაეროვნული რეპერტუარის თითქმის ყველა ნაწარმოები თბილისის საოპერო თეატრში რუსულ ენაზე სრულდება. რუსულ ენაზე ოპერების დადგმას (მით უმეტეს თვით რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებების) დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსული ენა აადვილებს საგასტროლო სისტემის ფუნქციონირებას.

მაგრამ ეს მოსაზრებანი არ ათავისუფლებს თეატრს და ყველა მათ, ვინც მის მუშაობას ხელმძღვანელობს, იზრუნონ საოპერო სპექტაკლების ქართულად ამეტყველებაზე. ბევრ მოკავშირე რესპუბლიკაში (მეზობელ სომხეთში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, უკრაინასა და სხვაგან) არაეროვნული ოპერებიც მათს მშობლიურ ენაზე იდგმება. უცხოეთში ნაწარმოებებს დგამენ ან იმ ენაზე, რომელზედაცაა იგი შექმნილი და ან მშობლიურ ენაზე. ბერლინში აფიშაზე და საგაზეთო რეკლამაში სპეციალურად აღინიშნება ხოლმე ოპერა გერმანულად სრულდება თუ იტალიურად. ჩვენში ხილად თარგმნეს ერთი-ორი ოპერა. თარგმნეს ცუდად, არაპროფესიულად (მე პირადად „ჯადოსნური ფლეიტა" მოვისმინე შემზარავი თარგმანით). ასეთი ნამუშევრით ყველანაირი წამოწყების დისკრედიტირება შეიძლება.

მაგრამ რაკი პირველი ცდები მარცხით დამთავრდა, ამან ფარხმალი არ უნდა დაგვაყრევინოს. თუკი სხვაგან არ უჭირთ მომღერლებს პარტიების შესწავლა ორ ენაზე, ჩვენმა მსახიობებმაც უნდა გაიჭირვონ და ორ ენაზე შეისწავლონ არაეროვნული რეპერტუარი. ეს თეატრის მოვალეობაა და ამ საკითხში ჩვენ არასოდეს უკან არ დავიხევთ. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ თეატრისაგან ეს პრობლემა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხად მიიჩნიოს და შესაბამისი მუშაობა გასწიოს მის მოსაგვარებლად. ქართულ ენაზე საოპერო კლასიკის ამეტყველება ვინმეს კაპრიზი კი არ არის, არამედ კულტურის ინტერესით ნაკარნახევი აუცილებლობაა.

დიდი პრობლემები დგას ჩვენი საბალეტო დასის წინაშეც. ვინც მის ცხოვრებას თვალს ადევნებს, არ შეიძლება ეს პრობლემები არ დაინახოს, არ შეიძლება ჩვენი საბალეტო ხელოვნების მდგომარეობამ უკმარისობის გრძნობა არ აღუძრას. დღეს დაბეჯითებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ჩვენმა ბალეტმა, რომელიც ამ 20-30 წლის წინათ ვითარდებოდა როგორც თვითმყოფადი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების და კლასიკურ-რომანტიულ ქორეოგრაფიულ-მუსიკალური ხელოვნების სინთეზით მოღწეული თეატრი, რომელსაც საინტერესო რეპერტუარიც გააჩნდა და ბრწყინვალე შემსრულებლებიც ჰყავდა, დღესდღეობით მწვავე კრიზისს განიცდის: იგი უკვე აღარც თეატრია და აღარც თვითმყოფადი. ტრადიციები, რომლებიც ბუნებრივად ვითარდებოდა, ერთ მშვენიერ დღეს უკუგდებული აღმოჩნდა, ხოლო რადიკალურმა გარდატეხამ ისეთი თვისებები ვერ შემოიტანა, რომელთაც შეეძლოთ ახალი გზის გაკვალვა. ჩვენ მოვალენი ვართ ვუპასუხოთ კითხვას: ნაყოფიერია თუ არა ის გზა, რომელსაც დღეს საბალეტო თეატრი ადგას, აქვს თუ არა პერსპექტივა იმ ესთეტიკურ-მხატვრულ პრინციპებს, რომლებიც თეატრის მიერ განხორციელებულ წარმოდგენებს უდევს საფუძვლად. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ კითხვას, ვკმაყოფილდებით თუ არა ჩვენს საბალეტო წარმოდგენებში კლასიკის მხოლოდ ინტერპრეტაციით, წარმოდგენების ამგვარი მხატვრული დონით.

საოპერო თეატრი მხოლოდ თეატრი არაა, ეს არის ამავე დროს პირველხარისხოვანი სიმფონიური ორკესტრი და მის ფარგლებში ინსტრუმენტული ანსამბლები. ეს არის საგუნდო კაპელაც და პირველხარისხოვანი ვოკალისტებიც, ე. ი. ეს არის საკონცერტო მოღვაწეობის დაუსრულებელი შესაძლებლობანი და როგორც ცნობილია ამ შესაძლებლობებს მსოფლიოს საუკეთესო კოლექტივები მაქსიმალურად იყენებენ. სამწუხაროდ, ჩვენი თეატრის სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კაპელა ალბათ რაიმე სადღესასწაულო ღონისძიებებში თუ იღებენ მონაწილეობას. საკონცერტო ესტრადა ამ კოლექტივებს არსებითად არ იცნობს. ამაზედაც უნდა ითქვას და ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, რადგან ცხადზე ცხადია, რომ თუნდაც ორკესტრისა და გუნდის ხარისხის ამაღლებისათვისაა აუცილებელი მათი საკონცერტო მოღვაწეობა.

თეატრის მუშაობის წარმატება პირველ რიგში თვით თეატრზეა დამოკიდებული, და ამასთან ერთად იმ დაწესებულებებზეც, რომელნიც მისთვის კადრებს ამზადებენ. თეატრი სასიცოცხლო ძარღვებითაა მათთან დაკავშირებული. რამდენად ნაყოფიერია, ეს კავშირი, იღებს თუ არა თეატრი, მაგალითად, კარგ შევსებას კონსერვატორიისაგან? მე ვგულისხმობ იმას, რომ თეატრი უნდა იღებდეს არა მარტო ვოკალურად საინტერესო, კარგი ხმებით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, არამედ აქტიორულადაც საინტერესო მუსიკოსებს, რომელთაც პროფესიული წვრთნა მიუღიათ და სწრაფად შეუძლიათ ახალი მასალის შესწავლა, მისი სცენაზე განსახიერება. გვაინტერესებს, რა წყაროებიდან ივსება თეატრის გუნდი, იმ ოც მუსიკალურ სასწავლებელში, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაშია, ზრდიან თუ არა საგუნდო მომღერლებს და კერძოდ საოპერო თეატრისათვის გამიზნულს? გვაინტერესებს მუსიკალური რეჟისორების მომზადების საკითხიც, მათზე მოთხოვნილება იზრდება, მაგრამ საინტერესოა სად და როგორ, ვისი ხელმძღვანელობით ყალიბდებიან ისინი, მომავალშიც ყველაფერი ისევე ინტუიციასა, წადილზე და ვაკანსიის პროფესიონალით შევსების შეუძლებლობაზე იქნება დამოკიდებული?

ჩვენ გვაინტერესებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდიის და თეატრის ურთიერთობის პრობლემა, როგორ გვარდება იგი და რა ნაყოფი მოაქვს მას, ერთის მხრივ, თეატრისათვის და მეორეს მხრივ, თვით სტუდიისათვის. ჩვენ გვაინტერესებს თეატრისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლის ურთიერთობაც: არის თუ არა დღესდღეობით ქორეოგრაფიული სასწავლებელი საბაზო სკოლა, რომელიც უზრუნველჰყოფს მის მოთხოვნილებებს კადრებზე.

უაღრესად აქტუალურია თეატრისა და ტელეხედვის ურთიერთკავშირის პრობლემა: ყველანი დაინტერესებულნი ვართ სამუდამოდ დაგვრჩეს „კულტურის მეხსიერებაში" ჩვენი საუკეთესო სპექტაკლები, ვოკალისტთა და ქორეოგრაფთა ხელოვნება. რას აკეთებს ამ მიმართულებით ტელეხედვა? ჩვენ კარგად ვიცით, რომ ტელეეკრანზე შეიძლება მრავალი დადგმის განხორციელება, რომელთაც შესაძლოა სტაციონალურად თეატრის რეპერტუარში ხანგრძლივი ცხოვრება გაუჭირდეთ, მაგრამ არსებითად ღირსნი იყვნენ საზოგადოების ყურადღებისა. გარდა ამისა, ტელეეკრანი უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა ოპერების რეჟისორული ინტერპრეტაციისათვის.

აქტუალურ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება თეატრისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხიც. თეატრის დარბაზი რომ ძნელად ივსება, ეს ყველამ კარგად იცის. გამოსავლის ყველაზე უნაყოფო, მე ვიტყოდი შეურაცხმყოფელი ფორმაა ბილეთების იძულების წესით გასაღება. ამ მეთოდს ფილარმონიაც ხშირად მიმართავს. საჭიროა კი მაყურებლის მიზიდვისათვის უფრო ქმედითი, კულტურის ინტერესებით გამართლებული მეთოდებით ბრძოლა. წელს, როდესაც „ოტელო" დაიდგა და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სპექტაკლებში მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა მონაწილეობდნენ, თეატრს არ უჭირდა მაყურებელი, პირიქით, ბილეთების ძებნაში მაყურებელს გაუჭირდა თეატრის ხელმძღვანელობის ნახვა. თეატრს ასეთი სპექტაკლები სჭირდება და მაშინ ყველა ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ადამიანი თავისუფალი დროის ნაკლებობას განიცდის, რომ იგი გადაღლილია და ამიტომ არსებითად მხოლოდ გასართობ პროგრამას ეტანება, ყველა ჩვენი თავის მართლება, რომ ოპერას ექიშპება ბევრი სხვა საცთუნებელი და მათ შორის ტელეხედვა, სპორტი და სხვა, თავისთავად მოიხსნება. ჩვენმა თეატრმა უნდა იცოდეს, რომ მაყურებელი არსებითად სპექტაკლისათვის მოდის თეატრში, სიახლისათვის, განსაკუთრებული ღირსებით დაჯილდოვებული ხელოვნების განცდისათვის. სპექტაკლი არ შეიძლება რიგითი იყოს — ეს ტერმინი, ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე დამკვიდრდა ჩვენს ლიტერატურაშიც და ყოფაშიც. თუკი სპექტაკლი ზეიმია, უდიდესი მოვლენაა, ცხოვრების არსში წვდომაა, თუკი იგი იმ კითხვებზე იძლევა პასუხს, რაც საზოგადოებას აღელვებს, ვინ დაიკლებს ამ სიამოვნებას, ვინ არ გაეშურება ამ დიდი შთაბეჭდილების მისაღებად?

საზოგადოების და თეატრის დამოკიდებულება მრავალგვარი, მრავალფეროვანია. იგი, მე ვიტყოდი, სხვადასხვა სიბრტყეზე ხორციელდება. ამ დამოკიდებულების ერთ-ერთი გამოხატულებაა თეატრის ცხოვრებაზე პრესის გამოხმაურებანი. ჩვენში, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც დრო და დრო ქვეყნდება პრინციპული, თეატრის ინტერესებით ნაკარნახევი წერილები, სადაც ამ დაწესებულების წარმატებებით გამოწვეული სიხარულიცაა გამოთქმული და დასაბუთებული და ამავე დროს გულისწყრომაც იგრძნობა მისი ჩავარდნების გამო. მაგრამ, ალბათ ყველა, ვინც რესპუბლიკურ პრესას იცნობს, დამეთანხმება, რომ ამ გამოძახილებს აჭარბებს ბევრი აშკარად რეკლამური წერილი, ქებათაქება. თვით თეატრის მსახიობებს უთქვამთ ჩემთვის, რომ ასეთ „გამოხმაურებას" მხოლოდ სირცხვილის გრძნობის გამოწვევა შეუძლია და რომ იგი ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. პრესის გულისყური კი თეატრისათვის თვითკონტროლის შესანიშნავი საშუალებაა. ჩვენ გვჭირდება რეცენზიები არა მარტო პრემიერებზე და გასტროლიორებზე, არამედ თეატრის ცხოვრების სისტემატური და, რაც მთავარია და უფრო ძნელი მისაღწევი, პროფესიულად დამაჯერებელი ანალიზი.

ყველა დროის თეატრში კონკრეტული ადამიანები მოღვაწეობენ, განუმეორებელი შემოქმედებითი ინდივიდუალობით, მრწამსით, მისწრაფებებით და ამ მისწრაფებათა განხორციელების შესაძლებლობებით. ყოველი დროის თეატრს თავისი განსაკუთრებული სატკივარი და თავისი სიხარული აქვს და ამიტომაც ყოველი დროის თეატრი თავის განუმეორებელ გზას ადგას; დღესაც ჩვენი თეატრი, საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრი ცხოვრების ამ კანონზომიერებას ემორჩილება, დღესაც მასში სავსებით კონკრეტული ადამიანები მოღვაწეობენ, რომელთაც თავისი მრწამსი და თავისი ხედვა აქვთ, თავისი შესაძლებლობანი გააჩნიათ.

მაგრამ, ამასთან ერთად, თეატრი მხოლოდ მათი კუთვნილება არაა. იგი ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი კერაა და საზოგადოება უფლებამოსილია თეატრის ავ-კარგი მოიძიოს, მისი ბედით დაინტერესდეს და, თუ თეატრს კრიზისი გაუჭიანურდა, თავისი მსჯავრი გამოიტანოს და თავისი რჩევა მიაწოდოს.

პირდაპირ უნდა ითქვას — კომპოზიტორთა კავშირს ამ თავისი უფლებების და მოვალეობის გამოყენება დაუგვიანდა. ამის ბევრი ობიექტური მიზეზიც გახლდათ (თეატრის შენობა დაიწვა, მერე არადამაკმაყოფილებელი იყო პირობები, რომელშიც იგი ხუთი წლის მანძილზე მუშაობდა, ბოლოს დრო სჭირდებოდა თავის ძველ ადგილსამყოფელს რომ შეგუებოდა), მაგრამ ობიექტურთან ერთად იყო სუბიექტურიც: არსებითად, მცირე გამონაკლისის გარდა, კრიტიკა კულუარებში ისმოდა, მან გზა ვერ იპოვა ღია ტრიბუნისაკენ და ამაში სხვა მიზეზებთან ერთად ჩვენი ერთგვარი უპასუხისმგებლობაც გამოვლინდა. დღეს ჩვენი ყველაზე დიდი დახმარება თეატრის მიმართ ის იქნება, რომ დიდი ხნის მანძილზე დაფარული სიმართლე ვუთხრათ თეატრს და მასთან ერთად დავსახოთ გზები მისი ნამდვილი აღორძინებისა და წინსვლისათვის.

## სიტყვა საოპერო თეატრზე

გივი ორჯონიკიძე

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე

მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვისაკენ, სადაც ამ დღეებში დაინთება ოლიმპიური ჩირაღდანი. დიდი და მრავალფეროვანია ოლიმპიადის პროგრამა, რომელიც, გარდა წმინდა სპორტული შეჯიბრებებისა, ითვალისწინებს შეხვედრებს, სამეცნიერო კონფერენციებს, დისკუსიებს „მრგვალ მაგიდასთან" და სხვა.

მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობის წინ თბილისში გაიმართა მსოფლიო სამეცნიერო კონგრესი თემაზე „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში".

კონგრესის გახსნის წინ საბჭოთა მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ოთარ ჩერქეზიამ თავის ინტერვიუში თქვა: „ნაყოფიერად ვითარდება რესპუბლიკაში სპორტული მეცნიერებაც. კვლევითს მუშაობას ეწევიან მისი სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები — ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები, ბიოლოგები, კიბერნეტიკოსები და სხვები. მაგალითად, ფართო აღიარება მოიპოვა სპორტის ფსიქოლოგიაში პროფესორ ვ. ნორაკიძის შრომებმა, რომელიც აკადემიკოს დ. უზნაძის მიერ შექმნილი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელია".

გაგაცნობთ კონგრესზე წაკითხულ ვლადიმერ ნორაკიძის მოხსენებას.




# სპორტსმენის განწყობა

ვლადიმერ ნორაკიძე

დაკვირვებები და ექსპერიმენტული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ სისტემატური წვრთნის, ვარჯიშის შედეგად სპორტსმენში ვითარდება თავისი პიროვნული ძალების მობილიზაციის, თავისი მოძრაობების მართვის უნარი, მუშავდება შეჯიბრებაში გამარჯვების მტკიცე, სტაბილური განწყობა, რომელიც საწინდარია შეჯიბრების კრიტიკულ სიტუაციებში მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი ყველა სპორტული შესაძლებლობა. ამიტომ სპორტსმენის პიროვნების შესწავლის ძირითად პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს მისი განწყობის სტრუქტურის გამორკვევა, განწყობის ძირითადი მახასიათებლების: სიმტკიცის, კონსტანტობის, სტაბილობის, ვარიაბილობის, ე. ი. განწყობის სტრუქტურის, როგორც ფორმალურ-სტრუქტურული, ისე მისი მოტივაციურ-შინაარსეული მხარეების დადგენა.

ადამიანის ფსიქიკური ძალების ძირითადი მაინტეგრირებელი ფაქტორის — განწყობის რთული ბუნების შესასწავლად ჩვენს მიერ გამოყენებული იყო კომპლექსური მეთოდი, რომელშიც ცენტრალური როლი ენიჭება დ. უზნაძის მიერ დადგენილ ფიქსირებული განწყობის მეთოდს. ამ მეთოდის მოდელი ასეთია: სიტყვიერი ინსტრუქციის საშუალებით ცდისპირში ვიწვევთ განსხვავებული სიდიდეების შედარების მოთხოვნილებას (შემეცნების მოთხოვნილება), რომლის შემდეგ საგანწყობო ცდებში ცდისპირს (რომელსაც თვალები დახუჭული აქვს) ხელში ეძლევა შესადარებლად ორი განსხვავებული მოცულობის სფერო (ხის ბურთი). მოცემულ ობიექტებს ვაწოდებთ რამდენიმეჯერ ზედიზედ.

საგანწყობო ცდების გამეორება აუცილებელია ყოველი ცალკეული ექსპოზიციის დროს წარმოშობილი სიდიდეების განსხვავების (დიდი და პატარა) პირველადი განწყობის განსამტკიცებლად.

ამ ექსპერიმენტის პირობებში განწყობა წარმოიქმნება მოთხოვნილების (გაარჩიოს სფეროების მოცულობა) და ობიექტური სიტუაციის (მიწოდებული სფეროების სიდიდეთა შორის არსებული განსხვავება) ურთიერთობის ნიადაგზე.

საგანწყობო ცდების შემდეგ ტარდება საკონტროლო ცდები. ამ შემთხვევაში სუბიექტს ხელში ეძლევა აბსოლუტურად ტოლი სფეროები. ცდების წინა სერიაში შემუშავებული და განმტკიცებული განწყობის ზეგავლენით ადამიანი სრულიად ტოლ სფეროებს აღიქვამს როგორც უტოლოს. საგანწყობო ცდებში სუბიექტს შეუმუშავდა ისეთი მდგომარეობა, რომელმაც გამოიწვია ტოლი სფეროების ილუზორული აღქმა. ეს მდგომარეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პიროვნების მზაობა-განწყობა სრულიად გარკვეული მოქმედებისადმი. პიროვნებაში ჩამოყალიბებულ განწყობაში ესკიზურად, როგორც წინასწარი პროგრამა, მოცემულია ქცევის ის შინაარსი, რომელიც შემდეგში უნდა განხორციელდეს. სუბიექტს შეიძლება შევუმუშაოთ განწყობა რაოდენობით მიმართებებზე ყველა გრძნობით მოდალობებში; ზემოთ აღნიშნული პრინციპის მიხედვით ადამიანს შეიძლება შევუქმნათ განწყობა რომელობით მასალებზე, აზრიან მასალაზე, წარმოდგენის სფეროში და ა. შ.

ამ ცდებში თავს იჩენს ილუზორული აღქმის ფაქტები, რომელიც განპირობებულია ფიქსირებული განწყობით. ამ სახის ილუზიები თავის მიმდინარეობაში ემორჩილება ერთ ზოგად კანონზომიერებას. ამიტომ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ ექსპერიმენტში შეისწავლება განწყობის ფორმირების პროცესი და ჩამოყალიბებული განწყობის ძირითადი მახასიათებლები. კვლევის შედეგად დადასტურდა პიროვნების მთელი რიგი ზოგადფსიქოლოგიური და დიფერენციალურ - ფსიქოლოგიური თვისებები, რომელთაც პიროვნების დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ჩვენი კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ პიროვნების განწყობის სტრუქტურის შესწავლა შესაძლებელია ფიქსირებული განწყობის მეთოდით, ხოლო ამ სტრუქტურის შინაარსეული და სხვა ცალკეული კომპონენტების დადგენა კი სპეციალური, სპორტსმენების პიროვნების კვლევისათვის შემუშავებული კითხვარების, ბიოგრაფიული მეთოდით, აგრეთვე ე. წ. ფსიქომეტრული და ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტებით, რომელთა მონაცემები შეიძლება გააზრებულ იქნას განწყობის თეორიის ნიადაგზე. ამ მეთოდებით დადგენილი მონაცემები მაღალ კორელაციაშია ფიქსირებული განწყობის მეთოდის მონაცემებთან და შესაძლებლობას იძლევა ვაწარმოოთ პიროვნების სტრუქტურის ზოგადფსიქოლოგიური, ტიპოლოგიური და უნიკალური ბუნების ერთიანობაში გააზრება, სპორტსმენის პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტის დადგენა.

კომპლექსური მეთოდით კვლევის შედეგებმა შესაძლებლობა მოგვცა შეჯიბრების ექსტრემალურ პირობებში სპორტსმენის ქცევის პროგნოზირება და მწვრთნელებისათვის გარკვეული რეკომენდაციების მიწოდება. განწყობის კვლევის კომპლექსური მეთოდით შესწავლილი იყო სამასამდე სხვადასხვა სახეობის მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენის ტიპოლოგიური თავისებურებანი: რომელ ტიპს მიეკუთვნება სპორტსმენი — დინამიკური განწყობის მთლიან, ჰარმონიულ, სტატიკური განწყობის კონფლიქტურს, იმპულსურ-ვარიაბილურ ლაბილურ და მათ ქვეტიპებს.

შესწავლილი იყო სპორტსმენთა განწყობის ტიპოლოგიური თავისებურების ცოდნის ღირებულება წვრთნისა და შეჯიბრების პროცესში, განწყობის ტიპის გავლენა მოტორულ აქტივობაზე, სენსომოტორულ გადანაცვლებაზე, სპორტული ტექნიკის ფორმირებაზე და ა. შ. შესწავლილი იყო სპორტსმენების ფსიქიკური პროცესები (რეაქციის სისწრაფე, ყურადღება, აზროვნება), რომელთაც ცალკეულ სპორტის სახეობაში სასიმპტომო მნიშვნელობა აქვთ. აქ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ისეთი სპორტსმენების დახასიათებაზე, რომელთათვისაც ნიშნეულია განსხვავებული სახის დინამიკური და სტატიკური განწყობა.

მთლიანი ჰარმონიული დინამიკური განწყობის სპორტსმენებისათვის დამახასიათებელია განწყობის პლასტიკურობა და დინამიკურობა. ეს უკანასკნელი კონსტანტურია, სტაბილური, მტკიცე. ასეთი განწყობა ხელს უწყობს სპორტსმენის სწრაფ შეგუებას შეჯიბრების ცვალებად სიტუაციაში. განწყობის ფიქსაციის ფაქტორი ადვილად დაიძლევა და განწყობას შესაძლებლობა ეძლევა, მძიმე კონფლიქტების გარეშე წარმართოს მიზანშეწონილი მოქმედება გარემოს ცვალებად რთულ პირობებში. დინამიკური განწყობა აადვილებს გარემოს ობიექტივაციას, ემოციურ-აფექტურ სფეროს რეგულაციას. ყველგან, სადაც ეს საჭიროა, სპორტსმენს შესაძლებლობა აქვს შეაკავოს თავის იმპულსურობა, მონახოს შედარებით მიზანშეწონილი გზები თავისი მიზნის განსახორციელებლად. სტრესულ სიტუაციებში ასეთი სპორტსმენი წონასწორია, მტკიცე, სტაბილური და სანდო. ყველა შინაგანი კონფლიქტი, მძიმე განცდები, რომელნიც ჩნდებიან სტარტის წინ და შეჯიბრების პროცესში, შედარებით ადვილადაა რეგულირებული.

სტატიკური განწყობის კონფლიქტური სტრუქტურის სპორტსმენის ქცევა და განცდები აღბეჭდილია ასეთი განწყობის თავისებურებით. სპორტსმენში ადვილად აღმოცენდება ქცევის განწყობა, რომელიც იმდენად მტკიცეა, რომ დიდხანს რჩება მასში როგორც აკვიატებული მდგომარეობა. მას უჭირს თავის დაღწევა ამგვარი განწყობიდან, როდესაც ახალი შეცვლილი სიტუაციის შესაფერისი განწყობის შემუშავებაა საჭირო. მას მიდრეკილება აქვს იმპულსური მოქმედებისადმი; უჭირს აფექტური განცდების შეკავება, ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადანაცვლება, ერთხელ შერჩეული ტაქტიკური გეგმის შეცვლა.

განწყობის სტატიკურობის გამო ხშირად ირღვევა ჰარმონია სუბიექტურსა და ობიექტურს შორის, ირღვევა წონასწორობა შინაგან იმპულსებსა და გარემოს მოთხოვნას შორის.

ასეთი ტიპის სპორტსმენისათვის დამახასიათებელია მელანქოლიკური ტემპერამენტი, კონფლიქტური ემოციები, დაურწმუნებლობა, სტრესულ სიტუაციაში შეშფოთების მაღალი დონე, რაც უარყოფითად მოქმედებს სპორტულ წარმატებაზე. განწყობის მაღალი აგზნებადობის გამო ისინი მალე ითვისებენ სპორტულ ტექნიკას, მაგრამ შეჯიბრების პროცესში უჭირთ ერთი მოძრაობის ჩვევიდან მეორეზე გადანაცვლება, უჭირთ სპორტული ტექნიკის მთელი არსენალის სწრაფად გამოყენება. ასეთი სპორტსმენებისათვის ნიშნეულია თავისი ღრმა შინაგანი კონფლიქტების შეკავების, დაფარვის უნარი. ძლიერი ნებისყოფის წყალობით, ისინი ახერხებენ მძიმე შინაგანი კონფლიქტების დაძლევას და საკუთარი ძალების მობილიზაციას, მაგრამ ამისათვის სჭირდებათ დიდი ფსიქიკური ენერგიის ხარჯვა. ასეთი სპორტსმენები საჭიროებენ მწვრთნელის განსაკუთრებულ ყურადღებას, ფსიქოთერაპიულ ღონისძიებებს, ფსიქოგენური წვრთნის მეთოდების გამოყენებას და სხვა.

ამრიგად, სპორტსმენის განწყობის სტრუქტურის კომპლექსური მეთოდით შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლინა პიროვნების სტრუქტურის მიხედვით განსხვავებული ტიპები და ტიპში შემავალი ცალკეული სუბიექტების უნიკალური თავისებურებანი. დადასტურდა პიროვნების ფაქტორის დიდი როლი წვრთნისა და შეჯიბრების მიმდინარეობაში. დადასტურდა, რომ სპორტსმენის პიროვნების დადებითი და უარყოფითი თვისებები, განწყობის სტაბილობის თვალსაზრისით, უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ განწყობის სტრუქტურის რომელ ტიპს მიეკუთვნება იგი; დინამიკური განწყობის სპორტსმენს ადვილად შეუძლია თავისი ნაკლოვანი მხარეების კომპენსაცია, თავისთავის მართვა, ხოლო სტატიკური ან ვარიაბილური განწყობის სპორტსმენებისთვის შეჯიბრების ექსტრემალურ პირობებში მოსალოდნელია ჩავარდნები; სტრესულ სიტუაციაში მათი ფსიქიკური მდგომარეობის მდგრადობა, სიმტკიცე ნაკლებად სანდოა.

ჩვენს მიერ რეკომენდებული განწყობის სტრუქტურის კვლევის მეთოდი იძლევა არასრულ, მაგრამ საკმაოდ გარკვეულ ორიენტაციას, შევადგინოთ ცალკეულ სპორტულ სახეობაში სპორტსმენის ვარგისიანობის ფსიქოგრამა, რაც ხელს შეუწყობს სპორტსმენების შერჩევას და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონტროლის მეცნიერულ დონეზე წარმართვას.

ჩვენი კვლევის მეთოდის საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთ-ერთი სპორტსმენის ფსიქოლოგიური პორტრეტი.

იგი გახლავთ მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელი (მტკიცე, დინამიკური, სტაბილური განწყობის ტიპი), თავშეკავებული, მოწესრიგებული, მტკიცე ნებისყოფის პიროვნებაა. მიზნისაკენ სწრაფვა და შემოქმედებითობა სჭარბობს იმპულსურ-აფექტურ განცდებს. მტკიცე ნებისყოფით იგი აკავებს და აწესრიგებს მისთვის დამახასიათებელ მთელ რიგ კონფლიქტურ თვისებებს. ტესტური მონაცემების მიხედვით მასში ჭარბადაა ფიქსირებული არასრულფასოვნების, მოუსვენრობის და კალაპოტიდან ამოვარდნის განცდა. გამოირჩევა რიგიდულობით — მასში ამა თუ იმ მოვლენით გამოწვეული აფექტი დიდხანს რჩება, რეზისტენტულია, შეუვალია საკუთარ შეხედულებებში, წყენიაა და ჯიუტი. ამავე დროს შრომისმოყვარეა, ხასიათდება შემოქმედებითობით, არ უჭირს სხვებთან კონტაქტების დამყარება და ახალ სიტუაციასთან შეგუება, მამაცია, აქვს თავგადასავლებისადმი მიდრეკილება, დიდ ანგარიშს არ უწევს ავტორიტეტებს; თვითდარწმუნებულია, ოპტიმისტურია და საკმაოდ პრაქტიკული, საკუთარ თავს განიცდის როგორც გუნდისათვის მეტად საჭირო წევრს... ხშირად შინაგანი აქტივობა დაქვეითებული აქვს, რაც გამოწვეული უნდა იყოს მისი ზედმეტი თვითდაჯერებულობით და გუნდში მისი სტატუსით გამოწვეული უკმაყოფილებით. უფროსებისადმი (მწვრთნელები) ავლენს შინაგან ფარულ ოპოზიციას, მაგრამ ცდილობს ქცევაში არ გამოავლინოს. ახასიათებს პრეტენზიის მაღალი დონე, რაც იწვევს შინაგან შეშფოთებებს. დაუინებულობა მას შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს კარგი წარმატება სპორტში, მაგრამ ამ წარმატების მიღწევას ზოგჯერ აბრკოლებს გონებრივი აქტივობის შემდეგი თავისებურება: თამაშის დროს მისი გონებრივი მოქმედება ძირითადში მიმართულია მთლიანისადმი, მოედანზე მოქმედი ყველა მოთამაშისადმი, მოედანზე მათ შორის არსებულ დამოკიდებულებებზე, რაც უფლებას აძლევს მას, ჰქონდეს თამაშის რეგულატორის პრეტენზია, მაგრამ ასეთი „სინთეზური" აზროვნება ნაკლებად ემყარება მთლიანში შემავალი ნაწილების, ცალკეული მომენტების, ეპიზოდების, ზოგჯერ დიდი მნიშვნელობის მქონე მცირე, ძნელად შესამჩნევი დეტალების (მოქმედებების) სწრაფ შემჩნევას მთლიანთან მიმართებაში, რაც ზოგჯერ შეიძლება იწვევდეს წარუმატებლობას და თამაშის სტაბილობის დარღვევას („ხან გამოდის და ხან არ გამოდის თამაში"). ამ მომენტს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება წვრთნის პროცესში. თავის ძლიერ მხარედ მიაჩნია ტექნიკურობა, შრომისმოყვარეობა, ფიზიკური ძალა. მაყურებლის რეაქცია მასზე არ მოქმედებს, შინ და გარეთ თანაბარი წარმატებით თამაშობს. თამაშის ტაქტიკური სქემა ბოლომდე ახსოვს და კიდევაც მისდევს მას, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შეცვალოს იგი. მსაჯის უსამართლო გადაწყვეტილება აბრაზებს, ეკამათება მას, მწვრთნელის კრიტიკას ვერ იტანს, ასევე აღიზიანებს ხშირი შეკრებები. უყვარს მხატვრული ლიტერატურა, საესტრადო და ქართული ხალხური სიმღერები. განვითარებული აქვს შემეცნებითი ინტერესები. თავისუფალ დროს ბევრს კითხულობს.

სასურველია, მწვრთნელმა გაუცნობიეროს სპორტსმენს, რომ თამაშის პროცესში მისი მოქმედება ცალმხრივია, იგი ნაკლებად აქცევს ყურადღებას კოლექტივის ცალკეული წევრების მოქმედებას, ძირითადში მიმართულია მთლიანისაკენ და ყურადღების გარეშე რჩება მნიშვნელოვანი დეტალები. სასურველია შეურჩიოს ისეთი ვარჯიშების მოდელი, რომელიც განუვითარებს მას თამაშისადმი, როგორც დანაწევრებული მთლიანისადმი მიდგომას. ასეთი ვარჯიშები მან უნდა ჩაატაროს როგორც წარმოსახვით (რეალური მოწინააღმდეგის გარეშე), ისე შეჯიბრებასთან მიახლოებულ პირობებში; მწვრთნელმა მხედველობაში უნდა მიიღოს მისი ხასიათის თავისებურება, კერძოდ მისთვის დამახასიათებელი პრეტენზიის მაღალი დონე და ეცადოს არ მისცეს საშუალება ამ ფრიად საჭირო სპორტსმენს, დაარღვიოს გუნდში არსებული მთლიანობა.

## ჯანსულ ჩარკვიანი

# ლხინი აქა...

### გაზაფხული

[illegible]

### „უსაგნო პოეზია“

[illegible]

### შუშანიკის მოტივი

[illegible]

### „ბაქიოთის დღე“

[illegible]

### გალაკტიონი

[illegible]

ზენაქარი დაცხრა, ჩადგა,
ფრთა გასტყორცნა სურმუშით,
ჩანდა კიდეც, არცა ჩანდა
გახვეული ბურუსში.

### მზია

[illegible]

### ნატვრა

[illegible]

### განწყობილება — წვიმიანი იანვარი

[illegible]

რაც ყვაოდა დამზრალია,
ის ბოლო ხეც გადახმა,
რეკავს ზარი, სხვა ზარია,
ეს ის ზარი არ გახლავთ,

[illegible]

თუ მოკვდი და ხომ იქნება
ის ერთი დღე — ვეფხის.

---

## მურმან ჯგუბურია

# მოთხრობები

## პ უ რ ი

მე მაშინ რვა წლისა ვიქნებოდი, მეტი არა. დედას რომ არ წავეყვანე, რა თქმა უნდა, მე იქ არ წავიდოდი. ან საიდან ვიცნობდი იმ კაცს, ვისთანაც უნდა მივსულიყავი; გაგონებით კი გამეგონა შინ, იმ კაცს რომ ალეს ეძახდნენ. მას ახსენებდნენ, ჟამიდან-ჟამზე ახსენებდნენ, მისი სახელის უხსენებლად საუბარი არ გამოვიდოდა, სიტყვა სიტყვას ვერ წაებმებოდა და მიტომაც ახსენებდნენ ალეს. ცნობილია, ლამაზი ლანდშაფტი გულს ახალისებს, და გარკვეული გავლენაც აქვს ალბათ ჩვენს მეტყველებაზე, მაგრამ ეს ბუნებრივი ურთიერთობა სათქმელსა და გარემოს შორის, ომის წლებში, ომიანობის ჟამს — ცოტათი შეიცვალა; დაირღვა სიტყვათა რიგი, რომელიმე სიტყვა ამოტივტივდებოდა უცებ სიტყვათა ჯგროდან, ამოტივტივდებოდა და მკაფიოდ დაგიდგებოდა წინ, — ასეთი სიტყვა იყო მაშინ, — პური; გამოვიდა სიტყვათა კრებიდან ეს ოთხად-ოთხი ასოსაგან შემდგარი სიტყვა და მთელი თავისი მნიშვნელობით დაგვიდგა წინ, მოშორდა ის გარკვეული აბსტრაქტულობა, რაც ყოველგვარ სიტყვას ახლავს, დაწერილსა თუ ნათქვამს, მკაფიო და ხელშესახები გახდა. ასეთ სიტყვებს, ცოცხალივით ეპყრობი, სულიერივით; არ იტყვი — „პური შევჭამეო“, „ჩვენ გუშინ გვქონდა პური და შევჭამეთ“, — ამას არ იტყვი; არ იტყვის გამზრდელი შენი — პური არა გვაქვსო; შენ იკითხავ პურს და დედა გეტყვის: „პური გაგვითავდა“, ან ასე იტყვის: „პური არ არის!“ იყო და არ არის და არა — „გვქონდა“ და „არა გვაქვს“. და ეს ყველაფერი ახლა მახსენდება, ისევე ნათლად მიდგება თვალწინ, როგორც მაშინ, იმ ომიანობის ჟამს, იმ გაუთავებელი ომიანობისა, მე რომ რვა წლისა ვიყავი და დედამ პურზე გამაგზავნა. მარტო კი არ გამაგზავნა, ოღონდ. მაშინ მე გზაც კი არ მეცოდინებოდა იქამდე, სადაც უნდა მივსულიყავი, და აკი მიტომაც ვამბობდი, დედამ წამიყვანა-მეთქი. მერე დედაჩემი ქუჩის მოსახვევთან გაჩერდა, მოფარებულში იდგა დედაჩემი და იქიდან მანიშნებდა ხელით, — წადი, წადიო, პურის წერტისაკენ მანიშნებდა, აი, იმ წერტს ხომ ხედავ, მიდიო, პურს იქ მოგცემენო. უნდა მივსულიყავი იქ და მეთქვა იმ კაცისათვის, ვინაც, როგორც მერე გავიგე, დედაჩემს ბიძაშვილად მოუდიოდა: ალე-ბიძია, მე ნანის ბავშვი ვარ, დედამ გამომაგზავნა-მეთქი; ის ტალონი კი, რასაც ამ სიტყვებზე მეტი ძალა ჰქონდა, როგორც მერე გავიგე, მე ხელში არ მეკავა, ტალონი ჩვენ არ გაგვაჩნდა. სამი დღე იყო, რაც ისეთი ტალონი დაგვეხარჯა და ახლა სწორედ იმ სიტყვებს უნდა გაეკეთებინა ის, რასაც ის ტალონი აკეთებდა, რაც გამოლეული გვქონდა და იმ სიტყვების მნიშვნელობას უახლოვდებოდა, დედამ რომ დამაბარა; კი მიყურებდა საწყალი დედაჩემი იქიდან, იმ ქუჩის მოფარებულიდან, ეს ვიცოდი და ერთი სული მედგა, იმ კაცთან დანაბარები მიმეტანა; ნანის შვილი ვარ-მეთქი, ამას რა ჯანდაბა დამავიწყებდა, თან იმ კაცის სახელსაც ვეტყოდი, როგორც დედამ დამარიგა, ალე-ბიძია, მე ნანის შვილი ვარ-მეთქი, დედაჩემი კიდევ მისი ბიძაშვილი იყო და თუკი იქ მივიდოდი, პურსაც კი წამოვიღებდი, რა თქმა უნდა; ჯერ ვიფიქრე, პირდაპირ მივალ-მეთქი ალე-ბიძიასთან, მაგრამ, იქ რომ რიგი დამხვდა და გაწამაწია იყო, ეს სურვილიც უმალ დამეკარგა, თან ერთი ჩია ტანის კაცი დამამახსოვრდა, რომელიც დიდის ამბით დადიოდა რიგის თავიდან ბოლომდე და როგორც იტყვიან, წესრიგს იცავდა; ურიგოდ კაცს არ უშვებდა, არც რიგს დაუკარგავდა ვინმეს; აბა, შენი რიგიაო, უთხრა ერთ ყმაწვილს, დასაძინებლად ხომ არ მოხვედიო; აქ რაღა დააძინებდა ისეთი სუსხიანი დილა იდგა! ხალხს, როგორც ჩანდა, ჯერ კიდევ ბნელში დაეკავებინა თავისი რიგი. იმ ყმაწვილმა რომ პური აიღო, გეგონებოდა, აი, მართლაცდა, ახლა გამოიღვიძაო, თვალები უბრწყინავდა, უკან არც კი მოუხედია, ისე მოჰკურცხლა იმ პურიანად; დიდი ბიჭი იყო, ჩემზე ერთი ხუთი-ექვსი წლით მეტის იქნებოდა, — მირბოდა და მიუხაროდა. მერე რომ ბავშვიანი ქალი იდგა, იმ ქალმაც აიღო პური. მე ყოველთვის ვხედავდი იმას, ვინც რიგის თავში ხვდებოდა და პურს იღებდა, რიგი ოდნავად გაზნექილი იყო, მე რიგის ბოლოში ვიდექი და მიტომაც ვხედავდი მათ, ალე-ბიძია კი ჯერჯერობით არა ჩანდა. კი იყო იქ, რა თქმა უნდა, წერტში იდგა და პურს არიგებდა, მაგრამ მისი პირისახე არა ჩანდა-მეთქი. რიგი ცოტ-ცოტა მიიწევს წინ, მე გულში ვიმეორებ სათქმელს, და ვდგავარ ჩემთვის, დედაჩემი კიდევაც დამავიწყდა, ქუჩის მოფარებულში რომ მიცდის. ერთი ფარაჯიანი კაცი მიდგას წინ, ძველი, გახუნებული ფარაჯა აცვია და როცა რიგი ძალუმად შეიძრევა, არ გამოვარდეო ბიძიკო, მეუბნება ის კაცი მოუბრუნებლად, — აი, აქ ჩამჭიდეო ხელი, — ფართე სარტყელი აქვს შემოვლებული ფარაჯაზე და იმაზე მიმანიშნებს, ჩაფრენილი ვარ იმ ფართე სარტყელზე, გამოვარდნით რიგიდან არ გამოვვარდები, მაგრამ, არც წინ რომ არ მიდის საქმე! იქ, რიგის თავში მდგომმა ქალმა ერთი წივილ-კივილი მორთო, მე მეტი მეკუთვნისო, შენ ნაკლებიო, ყვიროდა და წიოკობდა; აი, სწორედ მაშინ დავინახე პირველად ალე-ბიძია, — მას გრძელი დანა ჰქონდა დახლიდან გამოშვერილი და ერთი ამბით უწყრებოდა ქალს, — ვერა ხედავ, რა რიგი დგასო, ქვეყანა შენზე კი არ თავდებაო, აბაო, ამბობდა ალე-ბიძია და იმუქრებოდა. საოცარი ის იყო, რომ ყველანი რატომღაც ალე-ბიძიას მხარეზე იყვნენ, იმ ქალს კი არ ესარჩლებოდნენ, მართალი არიო, არამედ, ალე-ბიძიას ემხრობოდნენ, — ნოქარი არიო, ბატონო, მართალი, — ამბობდნენ პირდაპირ. რას ფიქრობდნენ გულში და რას არა, იმას არ ვამბობ, ეს არ ვიცოდი მაშინ, და ახლა თუ ვიცი, განა ამჟამინდელი ცოდნა რა ბედენაა, ისეთ რიგში მე აწი ვერ დავდგები, მაშინ რომ ვიდექი და რომც ყველაფერი გამეორდეს, რაც მაშინ იყო, როგორ მოვიქცეოდი, განა რომელ მათგანს დავუჭერდი მხარს? მაგრამ განა იმათ არ იცოდნენ, ვის მხარეზე ყოფილიყვნენ, ყველაფერი ისე იყო, ცხადია, როგორც უნდა ყოფილიყო და მე თუ ის ქალი მეცოდებოდა უფრო, ვინემ ალე-ბიძია, განა მაშინ ვიცოდი, რომ ალე-ბიძია იმ დღეს პურს არ მომცემდა, არ მომცემდა კი არა და, არც მიცნობდა და არც გამომელაპარაკებოდა, არც დედაჩემს გაიხსენებდა და დაივიწყებდა კიდევაც დედაჩემი რომ მისი ბიძაშვილი იყო, რომ მე მისი გამოგზავნილი ვიყავი და ნამდვილად რომ ნანი იყო დედაჩემი... მაგრამ, სანამდის მე რიგის თავში მოვექცეოდი, ამას როგორ ვიფიქრებდი. ალე-ბიძია, მე ნანის შვილი ვარ-მეთქი, ვუთხარი მას. ვისი რიგიაო, იკითხა ალე-ბიძიამ. ის ფარაჯიანი კაცი უკვე წასული იყო, რომლის ქამარზეც ვიყავი ჩაფრენილი და უკან რომ ქალი მედგა — იმან რომ არაფერი თქვა, ესე იგი, იმან რომ თქვა, ჩემი რიგიაო, მას მერე რომ იდგა, იმანაც ის გაიმეორა, რა თქმა უნდა; მერე კიდევაც მიჰყვა ერთმანეთს კაცი თუ ქალი, ქალი თუ კაცი, და, ამრიგად, იღებდნენ თავიანთ წილ პურს, მაგრამ ვინემდის ის პურს აიღებდა, ვისი წილიც უკვე აწონილი იყო, მცირეოდენი დროც ხომ რჩებოდა, ალე-ბიძია თავისუფალი იყო მცირე ხნით, სანამ კიდევ აუწონიდა პურს ვინმეს, და სწორედ მაშინ ჩავურთავდი მეც იმ სიტყვებს: ალე-ბიძია, მე ნანიმ გამომაგზავნა, ნანის შვილი ვარ-მეთქი. ალე-ბიძიამ ვერ მიცნო, ვერ მიცნობდა, რა გასაკვირია, ასეც უნდა ყოფილიყო, ალე-ბიძია, როგორც დედა ამბობდა, ომის დაწყებიდან არ ყოფილა ჩვენსას, მაგრამ ვერც დედაჩემი იცნო იმ დღეს ალე-ბიძიამ, ან შეიძლება სულაც განზრახ წამიყრუა და არ გაიგონა ის სიტყვები, რაც უნდა გაეგონა და არ გამცა პასუხი, თუმცა ყოველი ახალი პურის აწონვის მერე ვიმეორებდი იმ სიტყვებს ხმამაღლა, ესა და ეს ვარ-მეთქი; და ალე-ბიძიამ რომ არ მომაქცია და არა ყურადღება არაფრისდიდებით (შეხედვით კი შემომხედა, ეს კარგად მახსოვს), მე ძალიან მომეწვა გული და მგონი, ასეც კი გავიფიქრე მაშინ, ეს კაცი, ალბათ, ალე-ბიძია არაა-მეთქი და რიგიდან გავედი.

ალე-ბიძია კი იყო ნამდვილად.

## ტ ყ ვ ე

— ნემენცი! ნემენცი! — ყვიროდნენ სასადანიოში ბალღები და ჟივილ-ხივილით მისდევდნენ უკან სამხრეებაყრილ ტანმაღალ კაცს. მაგრამ ის უცხო კაცი ბალღების ხმაურს ყურადღებას არ აქცევდა. მიდიოდა ისე, როგორც მიდიოდა, თანაბარი ნაბიჯებით; ასე მიდის ხოლმე შუკაში ძაღლისაგან შეშინებული კაცი, — ფეხი რომ აუჩქაროს, იცის, ძაღლი უფრო გამოენთება, ფეხი რომ შეანელოს, საქმე აქვს და იქ ხომ უნდა მივიდეს, სადაც მიდის; და ამიტომაც იქცევა ასე — ხომ ხედავ, მე ჩემი გზა მაქვს, შენ არას გერჩი და ჩემგან რას ითხოვ, მეც გამატარეო.

მერე გახა ბიძიამ დაუქნია მას ხელი.

— ნემენცი! ნემენცი! — დაუძახა და ანიშნა, აქ მოდიო.

ქერა კაცი მოადგა ჭიშკარს, გახა ბიძიამ ურდული გაწია და კარი გაუღო. გერმანელი ეზოში შემოვიდა.

ჭიშკრიდან მოყოლებული ოდა-სახლამდე კოინდარი გვეთესა მაშინ, მწვანედ აბიბინებული. ომი ახალი დამთავრებული იყო, ომიანობის ჟამს კი ცოტა სტუმარი მოდიოდა ჩვენთან, და ამიტომაც იყო კოინდარი ასე გალაღებული. ახლა იმ კოინდრის ხსენებაც არაა ჩვენს ეზოში, მაგრამ მაშინ ასე იყო. გახა ბიძიამ ნემენცი ეზოში შემოუშვა, მეზობლის ბიჭმა ერთი კიდევ მიალექსა უცხო კაცს: „ჰიტილერი, ჰიტილერი, დუდი გინოტინტილერი“, და რაკიღა გახა ბიძიას მუშტიც დაინახა, გაჩუმდა. იმ უცხო კაცმა გახა ბიძია თავაზიანად გაატარა წინ, როგორც მასპინძელი, თვითონ კი უკან მიჰყვა, კოინდარზე ფეხი არ დააბიჯა, და ასე მიუახლოვდნენ ოდა-სახლს. ოდის მახლობლად, ერთი ვეება წყლიანი მსხალი გვედგა იმ დროს, მსხლის ძირას ფიცრის გრძელი კველა გვქონდა მიდგმული, და ნემენცი და გახა ბიძია იქ ჩამოსხდნენ. მზიანი დღე იდგა, იქ ჯდომა სასიამო იყო და გახა ბიძიამ დედაჩემს დაუძახა:

— გამოიტანე, ნანი, უთო, ნემენცი შეგვიკეთებს.

მე მიფაციცებული ვიყავი ახმახ ნემენცს და ერთი სული მქონდა, დამენახა, როგორ შეაკეთებდა ჩვენს პირდაბჩენილ უთოს ეს უცხო კაცი.

— ახლავე გამოვალ! — დაიძახა დედაჩემმა და ხუთიოდე წუთში გამოიტანა ლამბაქით „ჭაჭა“ და პაწია არყის ჭიქები, ჩამიჩი და ტკბილისკვერი; გამოიტანა დაბალი ხის სკამი და იმაზე დადგა ის ლამბაქი. გახა ბიძიამ ჭიქებში ჩამოასხა არაყი, ერთი ჭიქა ნემენცს მიუჩოჩა, მეორე ჭიქა თვითონ აიღო ხელში და თქვა:

— რუსი, რუსი გამარჯობა!

— ურუს, ურუს! — თქვა ნემენცმაც, მაგრამ ჭიქა ისევ ჩამოდგა სკამზე, არაყი არ დალია და აივნიდან მაცქერალ დედაჩემს ანიშნა რაღაც, როგორც მერე გამოირკვა, უთო გამოიტანეო.

გახა ბიძიამ, არაყი დალიეო:

— ართი, ართი! ადინ, ადინ! — ეუბნებოდა ნემენცს, მაგრამ ნემენცი უარობდა. მას უკვე უთო ეკავა ხელში და იმას უკირკიტებდა.

ჯერ იყო და ფოლადის პაწაწინა იარაღი ამოიღო გულისჯიბიდან, გადაატრიალ-გადმოატრიალა ის უთო, მერე სულ მოხადა უთოს სახურავი, წვრილი ლითონი მოკვნიტა გაზით, სახურავი უთოს დაადგა, ლითონი გაუყარა, დახურა, უთოს საკეტი გადასწია, მერე ისევ გახსნა უთო და, როგორც მერე გამოირკვა, კიდევ იკითხა, შესაკეთებელი მეტი რა გაქვთო.

დედაჩემი ადგა და ახლა ოდიდან მამის ნაქონი ძველი საათი გამოიტანა, დიდი და მრგვალი, ძეწკვიანი ძველი საათი, კიდობანში რომ ინახავდა მოწიწებით.

გახა ბიძიამ მეორედ ჩამოასხა არაყი თავის ჭიქაში. ნემენცი არც ახლა მიკარებია ჭიქას, გახა ბიძიამ კი — გადახუხა.

ნემენცმა კარგა ხანს უკირკიტა საათს, წიკწიკი დააწყებინა, ყურთან მიიდო, შეამოწმა, როგორ მუშაობსო. ჯერ მარჯვენა ყურთან მიიტანა, მერე — მარცხენასთან და ისევ დედაჩემს დაუბრუნა. ახლა დედაჩემმა მიიტანა საათი რიგ-რიგობით ორივე ყურთან და გახარებულმა, თავისივე ხელით მოგვასმენინა მეც და გახა ბიძიასაც, თუ როგორ წიკწიკებდა მამაჩემის ნაქონი საათი.

ნემენცმა ახლა კი მოჰკიდა ხელი ჩამიჩს, მაგრამ არც მესამედ შემოთავაზებული არაყი დალია; კიდევ თუ გაქვთ რამე შესაკეთებელიო, იკითხა.

— ყველაფერი ცოდნია ამას, — თქვა დედაჩემმა, — გახა, შემოგევლე, ეგებ ის ჩვენი საკერავი მანქანაც შეგვიკეთოს, მარქვალი არ უვარგა მაგას, ხომ იცი!

გახა ბიძიამ ხელი წრიულად დაატრიალა, რასაც ნემენცი იმწამსვე მიუხვდა და ორივენი ოდაში შევიდნენ. მეც თან გავყევი, ცხადია. ნემენცმა საკერავ მანქანას მეტი დრო მოანდომა, რაღაცეებს კითხულობდა, რაღაცეებს ითხოვდა; როგორც გვესმოდა, ჩვენც ვუსრულებდით თხოვნას და საქმეც გაიჩარხა. ის მანქანაც ამუშავდა.

გამოვიდნენ გახა ბიძია და ნემენცი ოდა-სახლიდან და დასხდნენ ისევ ჩრდილში.

საღამო ხანი იდგა, წყლიანი მსხალი შრიალებდა, ნიავი ფაჩუნებდა მსხლის ტოტებში, ჟამი-ჟამ, მწიფე მსხალი ცვიოდა დაბლა.

ნემენცმა არაყი დალია. პირველი ჭიქა!

გახა ბიძია დასწვდა ბალახებში ჩავარდნილ მსხალს, ჯიბიდან ამოიღო პაწია, ფოლადის ჯაყვა და იწყო მსხლის გათლა. ნემენცი ხელებში შეჰყურებდა.

გახა ბიძიამ, ჯაყვის ერთი მოსმით, ჯაყვის მოუშორებლად გათალა ლამაზად ის მსხალი და სკამზე დადო გაუჭრელად. მსხლის ნათალი კი განზე მოისროლა. ნათალი ჯერ გაიწელა, მაგრამ დავარდნისას ისევ მოიქუბა და ქუდივით ჩავარდა ბალახებში. ნემენცმა თვალი გააყოლა ნათალს.

მერე გახა ბიძიამ ჯაყვა ნემენცს დაუდო წინ, მსხალი გაჭერიო, ჭამეო, უთხრა, არაყთან კარგიაო. და ნემენცმაც აიღო მსხალი და გაჭრა ოთხად.

— ურუს! — თქვა ნემენცმა და გადაჰკრა მეორე ჭიქა არაყი.

დედაჩემმა გამოიტანა ნახევარი მჭადი, მცირე ყველი, პალმის ფურცელში შეახვია და მისცა ნემენცს.

მან მადლობა თქვა და შეფუთნული ძღვენი მარცხენა ხელით გულთან ახლოს მიიკრა. მარჯვენა ხელში კი ჩამიჩი და ტკბილისკვერი ჩაუდო გახა ბიძიამ, და ასე წავიდა ის კაცი ჩვენი სახლიდან. დაბლა დაიხედა, კოინდარზე ფეხი არ დააბიჯა და ჭიშკრიდან გავიდა.

კარგა ხანს ჩანდა საღამოს შუკაში გერმანელი ოსტატი; ჩვენ ვიდექით ჭიშკართან და ვუყურებდით შუკაში მიმავალს. ის ხან მობრუნდებოდა და თავს გვიხრიდა მოწიწებით, მადლობას გვითვლიდა.

---

# წერილი მთარგმნელს

ახლახან ალმანახ „საუნჯეში“ დაიბეჭდა თანამედროვე გერმანელი მწერლის ულრიხ პლენცდორფის მოთხრობა „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“ (თარგმანი დალი ფანჯიკიძისა). მთარგმნელმა მიიღო გერმანელი ქართველოლოგის ჰაინც ფენრიხის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

მივიღე თქვენი წერილი და საუნჯის შარშანდელი წლის მეხუთე ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია ულრიხ პლენცდორფის თქვენისეული თარგმანი „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“. მე გულდასმით შევუდარე ორიგინალს თქვენი თარგმანი და აი რაც შევნიშნე:

ჯერ ერთი, მგონია, რომ სიტყვა „ვნებანი“ სათაურში კარგად ახასიათებს გერმანულ სიტყვას „Leiden“, და თანაც, როგორც მწერალსაც უნდოდა, სიახლოვეს ამჟღავნებს გოეთეს ცნობილი ნაწარმოების სათაურთან.

მთელმა თქვენმა თარგმანმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამას ხაზი მინდა გავუსვა იმიტომ, რომ ჩემი აზრით პლენცდორფის ნაწარმოებს ახასიათებს ძალზე თავისებური, რთული ენა (რთული იმ გაგებით, რომ ეს არის ენა, რომელიც სავსეა ჟარგონებით, ვულგარიზმებით, ახალგაზრდობის მოდური სიტყვებითა და ამასთან დაკავშირებული ლექსიკური, სტილისტიკური და სინტაქსური თავისებურებებით), თქვენ კი ყველაფერი ძალიან კარგად გამოიცანით, მე პირდაპირ გაოცებული ვარ, რა მარჯვედ გადათარგმნეთ, თუმცა უნდა ითქვას, რომ თარგმანი ზედმეტად მკაცრად არ მისდევს ორიგინალს: სადაც საჭიროა, იმჩნევა თვალსაჩინო გადახრები სიტყვასიტყვითი თარგმანისაგან. მაგრამ, რაც მთავარია, შინაარსი მუდამ სწორადაა დაცული.

ჟარგონი დიდ სიძნელეებს უქმნის მთარგმნელს, თქვენ კი შესანიშნავად იგრძენით და გაიგეთ ჟარგონული ენა, ამით ხომ სტილისტიკურად ცოცხლობს ეს წიგნი.

თქვენ უეჭველად მოერიდეთ ზოგიერთ ძალზე ვულგარულ გამოთქმას (და ამით თქვენი თარგმანი უფრო მაღალ სტილისტიკურ დონეზე დგას). „Scheiße“-ს მაგივრად ერთ ადგილას გადაგითარგმნიათ: „უჰ, ამათი დამპალი დედა!“ სადღაც წერია ორიგინალში — „alle forzlang“, ესეც სხვანაირად ჩანს თარგმანში. ანდა „Du armer Arsch!“ თქვენს თარგმანში — „ეს საცოდავი ნეხვი, ესა!“ ეტყობა, ქართველი ქალისათვის როგორღაც მიუღებელია ასეთი გინება, ეს კი კარგად მესმის.

ზოგიერთ ადგილას გერმანულ ტექსტში გვხვდება ისეთი მაგალითები, რომელიც, თუ უბრალოდ გადავთარგმნიდით, ქართულად მაინც არ გამოვიდოდა. ამ შემთხვევებში ოსტატურად ირჩევთ ანალოგიურ ვარიანტებს ქართულისათვის, ამით თარგმანი ბევრს იგებს.

მეეჭვება მარტო ერთი ადგილის სისწორე: „არ არსებობს ვარიანტი!“ ეს ნამდვილად იგივეა რაც გერმანული „Das ist großer Quatsch!“ თუმცა შესაძლებელია, რადგანაც ქართულ ჟარგონში აშკარად ნაკლებად ვერკვევი.

საერთოდ, თქვენი თარგმანი ძალიან მომწონს. სულით და გულით გილოცავთ ამ მშვენიერ წარმატებას. მომავალში გისურვებთ ამ გზის წარმატებით გაგრძელებას და ახალ-ახალ წარმატებებს.

---

# „კრიტიკა“ №31

გამოვიდა ალმანახ „კრიტიკის“ ოცდამეთერთმეტე ნომერი. იგი იხსნება რუბრიკით „ვ. ი. ლენინი — 110“, სადაც დაბეჭდილია ბენო დობორჯგინიძის სტატია „ასახვის ლენინური თეორია და მხატვრული შემოქმედება“ და ანდრო მირიანაშვილის „ლენინის სახე ქართულ ლიტერატურაში“. ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე რევაზ თვარაძის წერილი „ვინ არის ნოდარ გელოვანი?“, ალექსანდრე კალანდაძის „რომანი შემოქმედის ბედზე“, გურამ ბენაშვილის „ლირიკული ინტუიციით აღმოჩენილი სამყარო“, აკაკი ბაქრაძის „მარტოობის ტკივილი“, ჯანსულ ღვინჯილიას „ბუნდოვანი პროფილის“ გამო“, ნუგზარ ცხოვრებოვის „უახლესი ქართული პოეზიის შედარებითი და ტიპოლოგიური შესწავლისათვის“, ავთანდილ არაბულის „მძულს ყველა, ვისთვისაც სულ ერთია ადამიანი“, ვახტანგ ხარჩილავას „ესტონური პროზა ქართულად“. რუბრიკა „გამოვიდა“ მკითხველს აცნობს ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკული ლიტერატურის ახალ გამოცემებს.

---

# ზ ა ფ ხ უ ლ ი





ფოტოები ზ. დათუაშვილის და ჯ. კასრაძისა.

## ჩვენ და გარემო

# ბუნების ხელოვნების ოსტატები

### გიორგი ჭიბლაძე

[illegible]

წერილში ზოგიერთი რამ ახალი ვთქვათ, არ დავარღვევთ რა პირველის არცერთ დებულებას, კერძოდ, ეს ეხება ბუნების ხელოვნებისა და უკვე საგრძნობლად ფეხმოკიდებული დიზაინის ურთიერთმიმართებას.

დღეს სრულიად უეჭველია: როგორც აპლიკაცია, ისე ბუნების ხელოვნება უნდა გადაიქცეს დიზაინერთა შთაგონების წყაროდ. დიზაინი ეძებს საგანთა ისეთ ფორმებს, რომლებიც მთელი ძალით გამოაჩენენ თვით საგნებს. მაგრამ არცერთ კაბინეტს, ლაბორატორიას, სახელოსნოს, როგორი გენიოსიც არ უნდა ჰყავდეს, არ შეუძლია უფრო გულუხვი აღმოჩნდეს ფორმათა უსასრულობაში, როგორც თვით ბუნებას. ამიტომ დიზაინერმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს არამარტო ბუნებასთან, პირველყოვლისა ბუნების ხელოვნებასთან, მის ოსტატებთან, აპლიკაციის თითოეული ნიმუშიც მისთვის შესწავლა-დაკვირვების ობიექტს უნდა წარმოადგენდეს. ეს ბუნების ხელოვნების, აპლიკაციის ერთი დიდი მხარეა, რომელიც ტექნიკურ ესთეტიკას უკავშირდება და მის განვითარებას ხელს შეუწყობს.

მეორე მხრივ, ბუნების ხელოვნებას, აპლიკაციას აქვს წმინდა პედაგოგიურ-დიდაქტიკური მნიშვნელობა. ბავშვების სულსა და გონებას ამდიდრებს სავსებით რეალური, მაგრამ თავისებურად ფანტასტიკური ქვეყნის ხილვით, უფართოებს შემეცნების საზღვრებს, გადაჰყავს ოცნების სამყაროში, საიდანაც მოაქვს ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე განცდები და მათთვის დამახასიათებელი აზრები, იდეები, ერთი სიტყვით, ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ აღზრდას.

მაგრამ აღზრდა მრავალნაირია. ბუნების ხელოვნება ბავშვს ზრდის ესთეტიკურად, აჩვევს სილამაზის, მშვენიერების შეგრძნებას, უღვიძებს სურვილს თვითონაც შექმნას მიმზიდველი ფორმები. აქ კი უკვე შეუმჩნევლად, თითქოს ქვეცნობიერად, იწყება მორალური აღზრდა, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის, როგორც მომავალი ღირსეული მოქალაქის ფორმირებაში.

ეს არ არის ყველაფერი, წერტილი აქ ვერ დაისმება. ბუნების ხელოვნება ბავშვს უმუშავებს მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, იტაცებს რა მის გონებას უსაზღვრო სინამდვილის ლოკალიზებული ფორმებით. ბავშვი გრძნობს, რომ ბუნებას არამარტო შესახებლობა გააჩნია, შემოქმედიცაა ულამაზესი ფორმებისა, მაშასადამე, ერთადერთი, რასაც ქმნადობის უნარი აქვს, ბუნებაა და არა რომელიღაც უხილავი, ზღაპრული არსება, რომელიც არავის უნახავს, არ შეხვედრია, არაფერი არა ჩანს. ბუნება ერთადერთი ღმერთია, რომელსაც არავითარი ღმერთი არა ჰყავს, გარდა საკუთარი თავისა, და მის გარეშე არაფერი არსებობს — არც სიცოცხლე, არც ცხოვრება, არც ღმერთი და არც ანგელოზი.

შეუძლებელია ასე მოკლე წერილში ყველა ის რაკურსი ავნიშნოთ, რაც ბუნების ხელოვნებას გააჩნია. რაკურსი და ასპექტი იმდენია, რომ ძნელი ხდება თითოეული მათგანი დავახასიათოთ. გარდა წმინდა ფსიქოლოგიური მხარისა, ბუნების ხელოვნებას აქვს საბუნებისმეტყველო-ფილოსოფიური, საერთოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დანიშნულებაც, არამარტო ბავშვთა, მოზარდთა, მოსწავლეთა აღზრდას ემსახურება, იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ყველა და ყოველგვარი ასაკის ადამიანთა სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ უკვე დროა გადავწყვიტოთ საკითხი ბუნების ხელოვნების ექსპონატთა არა ეპიზოდური, არამედ, მუდმივი გამოფენის მოწყობის შესახებ, როგორც ამას ვაკეთებთ ხელოვნების სხვა დარგებში.

ოსტატობითა და თავისებურად დახვეწილი, რაფინირებული გემოვნებით მნახველს უეჭველად მიიზიდავს ნელი ოქროპირიძის ნამუშევრები. მისი ძირითადი „ფერი“ სულ უბრალოა — მერქანი, კორპი, ხის ყველა და ყოველგვარი გამხმარი მასალა, რომელიც სრულიად უსასყიდლოდ გვეძლევა ჩვენს მრავალნაირ ტყე-ღრეებში. ბუნების ხელოვნება ნელი ოქროპირიძის — ამ დარგის ერთ-ერთი პირველი, გატაცებული, შთაგონებული ხელოვანის შემოქმედებით ლაბორატორიაში გარკვეულ დიდ სიმაღლეზეა ასული, და მიჭირს რომელიმე მათგანი ცალკე გამოვყო, იმდენად ორიგინალური, მიმზიდველი, ოსტატურია თითოეული. მე არ ვიცი სხვებს რა მოსწონთ, რას აძლევენ უპირატესობას, მაგრამ პირადად ჩემთვის დაუვიწყარია, როგორც ჭეშმარიტად ხელოვნების ნიმუში „მეტეხი“, „სამთავისი“, „მთათუშეთი“, „ძველი თბილისის ხედები“ (შეშის გამყიდველი პატარა ბიჭის ელემენტით), „გრემი და მისი ძველი კედელი“, „სნოს ციხე“, ციხე, რომელიც პირველად დიდმა პოეტმა ლერმონტოვმა გადაიტანა ფერწერაში, „ათაბაგების ციხესიმაგრე“, „სვანური კოშკი“ და „იმერული სახლი“. რადა ღირს „ცნობისმოყვარენი“, ბავშვთა მიმზიდველი სახეებით, აგრეთვე, „ამოდის, ნათდება!“, ჩვენს დაუვიწყარ დიდ ხელოვანს — ელენე ახვლედიანს, უნახავს თუ არა, საკუთრებად რომ წაუღია, იმდენად მოსწონებია. თავისებურად გვიზიდავს აპლიკაცია „ბავშვები ტყეში“, რომელიც ავტორის არამარტო ოსტატობაზე, არამედ მოზარდი თაობისადმი მის დიდ სიყვარულზედაც მეტყველებს.



გამოფენის ერთ-ერთი ნიჭიერი მონაწილის ელენე ჯაფარიძის ნამუშევრები აპლიკაციის შესანიშნავი ქმნილებანია. ყველა პორტრეტი — ვანო სარაჯიშვილი თეთრ ჩოხა-ახალუხში, ტატო ბარათაშვილი (მერანთან ერთად), გენიოსი რუსთაველი, სხვადასხვა ეროვნების ბავშვები, ერთ სურათად წარმოდგენილნი აკაკი წერეთელი, ოვანეს თუმანიანი, მირზა ფატალი ახუნდოვი, როგორც ინტერნაციონალური ძმობის განსახიერება, გალაკტიონ ტაბიძე, პეტრე ჩაიკოვსკი, გიორგი ლეონიძე შესრულებულია ვარდის გამხმარი მრავალფერადი ფურცლებისაგან. თითოეულის პორტრეტული მსგავსება მიღწეულია შემოქმედებითი ასპექტებით, რეალისტურად. ლარნაკები ყვავილებით, ყოფითი ნატურმორტი, თითქოს-და ბროლის სურა ჭიქებით, ყანწი, — ნამდვილად შესანიშნავია. ამიტომ დაიმსახურა ავტორმა მნახველთა ესოდენ დიდი აღტაცება.

მხატვარი-დეკორატორი ირაკლი ხმალაძე გვახარებს თავისი აპლიკაციების ოსტატური შესრულებით. ყვავილების ნაირ-ნაირი გამხმარი ფოთლები შესანიშნავად ამეტყველებენ რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, ლევ ტოლსტოის, უჩა ჯაფარიძის სახეებს.

ცალკე უნდა გამოვყოთ შთაგონებული ოსტატობით შესრულებული სახე ეპოქის უდიდესი ადამიანისა, ლენინისა.

ყვავილთა გამხმარი ფოთლებით შექმნილი „მხატვრის პალიტრა“, „დედა-ენა“, „წინანდალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი“, „ჯვრის მონასტერი“ და „სვანური კოშკები“ ნამდვილად შედევრებია. ბევრი რამ შეიძლება კიდევ ითქვას ირაკლი ხმალაძის ნამუშევრებზე, მაგრამ ახლა, წერილის მოცულობის გამო, შეზღუდული ვართ. იმდენია აქ კარგი და მიმზიდველი, მართლაც ძნელი ხდება გამორჩევა.

როგორც კი დაიწყებთ გამოფენის დათვალიერებას, პირველად შემოგანათებთ ლილი პორტნოვას მშვენიერი ნამუშევრები. ისინი ყურადღებას იქცევენ რაფინირებული რეალიზმით, ორიგინალობითა და გააზრებით. ყველა ექსპონატი, რომელიც მას ეკუთვნის, შეიძლება დაიყოს, კლასიფიცირებული იქნას, როგორც ჰერბარიუმის აპლიკაცია, ფოთლოვანთა აპლიკაცია, გამხმარი ჩალის აპლიკაცია და ისე მიმზიდველია ყველაფერი ეს, რომ გაოცებული რჩებით, თუ საიდან რა მოდის, რა გამოდის, რა უსაზღვროა ფორმათა გამოვლენის შესაძლებლობანი.

ამავე ჟანრში მუშაობს ლუდმილა ბულიგინა. შესანიშნავია მისი ნამუშევრები. იგი უფრო ეტანება მშობლიურს, ახლობელს. ბულიგინას „ძველი თბილისი“ და „სვანური კოშკები“ ისე ძლიერია, რომ აკვარელს მოგაგონებთ. თვალს ვერ მოაშორებთ სახელგანთქმულ „კიევის ტაძარს“, რომელიც არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის უბრწყინვალესი ნიმუშია, აქ კი უზადოთ ამეტყველებულა ბუნების ხელოვნების ენაზე.

შედევრივით მიმზიდველია ნატო ლაბაძის გირჩებისაგან შექმნილი ვარდების თაიგული, ბრინჯის მარცვლების ფონზე. გეგონებათ, ოქროსფერ ჩარჩოში მოთავსებული ფერწერული ნახატია. თვალს ვერ მოაშორებთ „მინდვრის ყვავილებს“, ლანგრებზე დადებულ „გამხმარ ფოთლებსა“ და „გამხმარ ვარდებს“. არის აქ რაღაც უცნაური ჩვენი გემოვნებისა და ესთეტიკური გრძნობისათვის. თითქოს ყველაფერი ეს გვინახავს, მაგრამ არც გვინახავს. ბუნებას სიძუნწეს ვერ დავწამებთ, მაგრამ შეიძლება მეგობრულად ვუსაყვედუროთ, რომ ყველა ფორმასა და სახეს ზოგჯერ არ ამთავრებს, ჩვენ გვიტოვებს წერტილის დასასმელად. თუმცა, ბუნება იმდენად ბრძენია, რომ ამასაც ჩვენს სასარგებლოდ აკეთებს: ჩვენც ხომ უნდა დაგვიტოვოს რაიმე გონების, გრძნობის, აზრის სავარჯიშოდ?

დავდივართ გამოფენაზე, ვათვალიერებთ ექსპონატებს და გვიხარია, რომ ასე კარგად მუშაობს ბუნების სრულ თანხმობაში ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზია. შეუძლებელია არ მოიხიბლოთ, როცა ბუნების ხელოვნების განმაცვიფრებელ ფორმებსა და სახეებს ხედავთ. უეჭველად თავისებური ოსტატების — ბენიამინ ფრანგიშვილის, არვალი ძიგრაშვილის, ი. პომერანცევის, გივი გელაშვილის, რევაზ რობაქიძის, რევაზ ნათაძის, ნოდარ ჯანაშიას, მზია ნახუცრიშვილისა და მისი მოწაფეების — თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის ნორჩ მოსწავლეთა ნამუშევრებში. ძალიან კარგია არვალი ძიგრაშვილის „დინოზავრი“, ხის ფესვის გაფორმებით მიღებული გამოსახულება, გივი გელაშვილის მოცეკვავეთა ფიგურები, „შველის მაგიდა“, რევაზ რობაქიძის „სასაცილო სახეები“.

ასევე ცალკე უნდა გამოვყოთ ნისივე უცნაური „მაგიდა სკამებით“, „ორატორი“ (იუმორესკა), მოცეკვავეთა ვარიაციები; რევაზ ნათაძის „მაგიდა“, „სკამი შუქფარით“, „ნიანგი“, „გველი“; ნოდარ ჯანაშიას სულ უცნაური, მრავალნაირი ფიგურები, ფესვებისაგან გაკეთებული; მზია ნახუცრიშვილის მშვენიერი გამოსახულებანი — „ლომი და ძაღლი“, „ნონადირე“; სერგო კლდიაშვილის „კიმოთე ლახუნდარელის“ უაღრესად კოლორიტული სახე, გოგრის ქერქისაგან დამზადებული „მომაკვდავი გედი“ — სენ-სანსის „მომაკვდავი გედის“ თემაზე, „ექიმი აიბოლიტი“ და მთლიანად გოგრისაგან ხორცშესხმული „მხიარული ლორი“. აქვეა უცნაურობით სავსე „სალამოს ზარები“, სამი გობმეშოს შესრულებით, ლემასაგან რომ არის დამზადებული.

მაგრამ დააკვირდით თამარ ბახტაძის ნამუშევრებს, ატმის კურკებისა და ზღვის კენჭების, წითელი ლობიოსა და უგრეხელის ნატურალური მარცვლებისაგან რომ არის დამზადებული, აგრეთვე ჭურჭლის ნაირსახეობას. მგონი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს მისი ულამაზესი ხალიჩის მსგავსი „ხეივანი“, „იმერეთის პეიზაჟი“, დავით კაკაბაძის ცნობილი ნახატის მიბაძვა, აგრეთვე, ნატიფად შესრულებული „ფერწერული ტილოები“.

გამოფენის მონაწილე ანა ჩხიკვაძე მუხის ჩვეულებრივი რკოსა და ასევე ჩვეულებრივი ხმელი მასალისაგან ჰქმნის თავისებურად მიმზიდველ გამოსახულებებს: „იყიდეთ, გეთაყვა!“, ანსამბლ „მზიურს“, „ჯარისკაცის მამას“, „ქართვლის დედას“, ეგზოტიკურ „დუეტს“, „ფიროსმანს“, „მოცეკვავე ქალებს“. რაც შეეხება მის უჩვეულოდ ლამაზ „ზღაპრულ ფრინველებს“ და „მოჩხუბარ მამლაყინწებს“, ისინი ყოველგვარ ქებას იმსახურებენ.

გვაოცებს ლუდმილა ბურძგლას ყვავილთა გამხმარი ფოთლების ჰერბარიუმისაგან შექმნილი „ხორბლის ძნა ხედებში“, „ფლორა“ რამდენიმე ვარიანტად, „ნატურმორტი“ და „მარადიული ცეცხლი“. თითოეულ ამ ნაშრომში ჩანს ავტორის ფაქიზი გემოვნება და დახვეწილი ესთეტიკური გრძნობა.

წუნს ვერ დასდებთ ილია გაგოშიძის მინისაგან დამზადებულ სურებს, ჭიქებს, „მრავალჟამიერის უკვდავებას“. ეს უკანასკნელი შეიძლებოდა ძველი საქართველოს ალეგორიადაც მიგვეჩნია, ისე ძლიერია კარგად შერჩეული კოლორიტული ელემენტებით.

ესთეტიკურად გვატკბობს ელზა ჩიჩელაშვილის ნამუშევრები. თითოეული მათგანი დაწნულ კალათებში მოთავსებული ულამაზესი ყვავილებია, გამხმარნი, მაგრამ თავისებური სურნელებით სავსენი.

ჩვენ საშუალება არა გვაქვს ცალკე შევეხოთ იმ შესანიშნავ ნამუშევრებს, რომლებიც შესრულებულია გამხმარი ყვავილების ფოთლებისაგან, და ეკუთვნით ელენე დიდებულიძეს, ლილიანა ჩხიკვიშვილს, ლეილა ქემაშვილს. სამივე ოსტატის შემოქმედების განხილვას ცალკე წერილი უნდა მიეძღვნას, ვინაიდან გამოფენაზე მათ იმდენი და ისე კარგი ნამუშევრები წარმოადგინეს.

ერთი რამ გარკვევითა და ხაზგასმით უნდა ითქვას: მასალა, რომელსაც ბუნების ხელოვნება იყენებს, სულ უფასოა, ტყესა თუ ველში მიმოფანტული, მიგდებულ-მიტოვებული, საწვავად განკუთვნილი ნარჩენებია. მაგრამ ბევრ მათგანს ისეთი ფორმა აქვს, ისეთი მოყვანილობა, რომ მიგახვედრებს რა შეიძლება მისგან გამოვიდეს. ადამიანის, მხატვრის, ოსტატის თვალი შეამჩნევს მის ფორმას, ხელი კი დაასრულებს და ვღებულობთ ბუნების ხელოვნების საარაკო ნიმუშებს. ბუნების უშუალო მასალაა, ბუნების უშუალო ფორმაა და ამ საფუძველზე იქმნება სილამაზე, სრულიად ორიგინალური, შთამაგონებელი, მიმზიდველი, რომელიც ბუნების ხელოვნების, აპლიკაციის მშვენიერ ნიმუშად გვევლინება. ნუთუ ისინი უნდა დაიღუპონ ცეცხლსა და წყალში? არა, უნდა მივხედოთ ბუნების ამ ნარჩენებს, თუ ნამტვრევებს, დასალუპავად განწირულთ, და მათგან დაუსრულებლად ვაკეთოთ აპლიკაციური ნიმუშები, ბუნების ხელოვნების ქმნილებანი.

ეს ქმნილებები შეუჩერებლად, განუწყვეტლივ, მრავლდებიან, როგორც ჭეშმარიტი ხელოვნების ძეგლები, იზიდავენ ოსტატებს და იპყრობენ მნახველთა ყურადღებას.

„ვნახეთ ჭეშმარიტი სილამაზე, — წერს შთაბეჭდილებათა წიგნში ერთ-ერთი მნახველი, — ვერ ვიტყვით რომელი რომელზე უკეთესია. ყველა გვხიბლავს განსაკუთრებული თავისთავადი სილამაზით“.

ამგვარი ჩანაწერები უხვადაა ამ წიგნში.

ეს არის ხალხის ხმა, მათი აღტაცების გამომხატველი, მათი სულიდან და გულიდან მომდინარე გრძნობები, განცდები, მოწონება, სიხარული, რასაც თან ერთვის გონების დასტური, რომ ბუნების ხელოვნების ნიმუშები, აპლიკაციის შედევრები დიდი ხელოვნებაა, რომელიც ზრუნვას, დაფასებას, განვითარებას მოითხოვს.

ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ბუნების ხელოვნების ნიმუშები უკვე შეიჭრნენ სახლებსა და სასახლეებში. ისინი ამშვენებენ როგორც კერძო მაცხოვრებელთა ბინებს, ისე კულტურულ დაწესებულებებს. ფერწერის, ქანდაკების, გობელენების, ნოხებისა და ხალიჩების გვერდით ბუნების ხელოვნების, აპლიკაციის ნიმუშები ხელს უწყობენ ჩვენი ადამიანური ცხოვრების გალამაზებასა და გაკეთილშობილებას. დადგება დრო, როცა ბუნების ხელოვნების, აპლიკაციის ქმნილებები შეიჭრება ყველგან და ყველა ისევე სიყვარულით შეიძენს მათ, როგორც დღეს მთელ მსოფლიოში გატაცებული არიან მხატვრობისა და ქანდაკების შედევრებით.





ოლიმპიური მოსკოვი



# «სიბრძნე სიცრუისა» უცხოეთში

როგორც ცნობილია, 1978 წელს საქართველოში ფრანგულად გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომლის თარგმანი ჩინებულად შეასრულა მეცნიერმა და მწერალმა გასტონ ბუაჩიძემ.

უცხოელი ლიტერატორები და მეცნიერები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ გამოცემას. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

იტალიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველთვიურმა ჟურნალმა „ორიენტე მოდერნომ“ დასტამბა ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორის, გალაკტიონ ტაბიძის ლექსების იტალიურად მთარგმნელის ლუიჯი მაგაროტოს რეცენზია, სადაც ავტორი აშუქებს სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ასპექტს, იხილავს „სიბრძნე სიცრუისას“ იგავთა სიუჟეტურ პარალელებს, ნაწარმოების ზნეობრივ-აღმზრდელობით პრობლემატიკას, მხატვრულ ღირსებებს.

ბელგიის ჟურნალში „რევიუ დე პეი დე ლესტ“ ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი ჟან ბლანკოფი წერს: „უხსოვარი დროიდან საქართველო მუდამჟამ გზაჯვარედინზე იმყოფებოდა. დღეისათვის მან შეინარჩუნა თავისი დიდი თვითმყოფადობა და ამასთანავე გაითავისა ყოველივე საუკეთესო, რაც კი მოიპოვებოდა რუსეთის, დასავლეთისა თუ ახლო აღმოსავლეთის კულტურებში. იგი უძველესი ხელოვნებისა და ლიტერატურის ქვეყანაა. იმ უბედურებათა მიუხედავად, რაც სპარსელების, არაბებისა და მონღოლების შემოსევებმა მოუტანა, საქართველო თითქმის უწყვეტლივ ვითარდებოდა...

სულხან-საბა ორბელიანი, ელჩი, საქართველოს მეფის მრჩეველი, მწერალი, ბერი ორჯერ მიიღო ლუი XIV-ემ თავისი მეფობის დასასრულს. იგი ავტორია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა, ქადაგებებისა და სხვადასხვა რელიგიური ნაწერებისა, აგრეთვე — იუმორისტული და მორალისტური პატარა მოთხრობების კრებულისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს გვაგონებს ეზოპეს, „ათას ერთ ღამეს“ და ევროპულ ფაბლიოებს, შეიძლება „დეკამერონსაც“, და კიდევ ანდერსენსა და ლუის კეროლს, ცხადია, ამათს გაჩენამდე. „სიბრძნე სიცრუისად“ წოდებული ეს წიგნი შეიძლება, აგრეთვე, შევადაროთ ერაზმ როტერდამელის „სისულელის ქებას“. სიბრძნისა და ფილოსოფიის ეს კრებული, ზოგჯერ თითქმის ვოლტერიანულ ირონიას რომ ეხმიანება, რომლის ნაწყვეტები ამ ასიოდე წლის წინათ გამოქვეყნდა ფრანგულად, ახლახან საუცხოოდ ფრანგულით მთლიანად თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ, თბილისელმა ლექტორმა. თარგმანს წარუმძღვარა ოცდაათიოდ გვერდიანი შესანიშნავი წინათქმა.

მკითხველი სიხარულით წაიკითხავს სულხან-საბას ჭკუის სასწავლებელ პატარ-პატარა ამბებს და გულში გაიფიქრებს, რომ მწერალი, მართლაც, იმსახურებს იმას, რომ თბილისის ცენტრში მისი სახელობის ქუჩაა...

წიგნი დასურათებულია ცნობილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის მიერ“.

ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების სიახლეების ამსახველი, ლუქსემბურგში გამოცემული ჟურნალი „ნუველ ეროპ“ ბეჭდავს ცნობილი მწერალი ქალისა და ლიტერატურათმცოდნის როზმარი კიფერის წერილს. მასში ნათქვამია: „ორბელიანს ბევრი უფიქრია თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე: იგი მომხრე იყო ძლიერი და გონიერი ცენტრალური ძალაუფლებისა, რომელსაც უნარი შესწევდა დაეცვა საქართველოს ინტერესები. ეს საზრუნავი „სიბრძნე სიცრუისას“ სტრიქონთა შორისაც იკითხება. აღნიშნული წიგნი ახლახან ფრანგულად თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ, მანვე დაწერა წინასიტყვაობა, სადაც თვალწინ გადაგვიშალა ამ ნაწარმოების გასაგებად აუცილებელი ისტორიული და ლიტერატურული მონაცემები“.

მეტად საინტერესოა რეცენზია ჟორჟ ბუიონისა. იგი გამოქვეყნდა ბელგიური ჟურნალის „ბელჟიკ-იურს მაგაზინის“ იენისის ნომერში. „სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ — წერს ჟორჟ ბუიონი, — ფრანგულ ენაზე პირველად ახლახან გამოსცა თბილისის გამომცემლობა „განათლებამ“ გასტონ ბუაჩიძის თარგმანითა და შესავალი წერილით (ლადო გუდიაშვილის ილუსტრაციებით). გ. ბუაჩიძე არის ლექტორი და მთარგმნელი. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან მისი მწერლური ნიჭიც. იგი გვაცნობს თავისი სამშობლოს ორ ყველაზე დამახასიათებელ მოღვაწეს: შორეულ წარსულში ესაა პოეტი რუსთაველი, ახლო წარსულში კი მხატვარი ფიროსმანი. ამ ორს შუა ცხოვრობდა სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725), „საქართველოს მამად“ წოდებული. გასტონ ბუაჩიძე ქართული და ფრანგული ლიტერატურების ტრადიციული შეხვედრის უთუოდ ყველაზე იღბლიანი წარმომადგენელია. მისი სახით მოგვევლინა ერთგვარი ელჩი ამ ღრმა კულტურული კავშირისა, რაც ესოდენ ესაჭიროება ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცებას. რაც შეეხება ლადო გუდიაშვილს, იგი ამჟამად საქართველოს ყველაზე სახელგანთქმული მხატვარია და მე არც ის გარემოება მაკვირვებს, რომ მისმა ნიჭმა შეამკო იმ წიგნის გარეკანი, კავკასიის ამ რესპუბლიკას რომ ეძღვნება მრავლის მთქმელი მითოლოგიური სათაურით „საქართველო — ოქროს საწმისის ქვეყანა“. ამ წიგნის პარადოქსული სათაური „სიბრძნე სიცრუისა“ ადვილად მისახვედრია, რომ ამ ნაწარმოებს არც მიგავეთათვის ჩვეული ალეგორია და არც იუმორის გრძნობა აკლია.

ეს გახლავთ მეტნაკლებად ლაკონური ამბების კრებული, ამბებისა, ხალხთა მრავალსაუკუნოვან საუნჯეს რომ განეკუთვნება და რომელთა წყაროს ძიებაში ზოგჯერ თვით ეზოპეს უნდა დავუბრუნდეთ ხოლმე, წიგნი „ათას ერთ ღამესაც“ გვაგონებს და მონტესკიეს „სპარსულ წერილებსაც“, ვოლტერის მოთხრობებსა და „დეკამერონს“, თვით ეზოპეს, და, რაღა თქმა უნდა, ლაფონტენს. როგორ, რატომ, რა განსხვავებითა თუ რანაირი მსგავსებით მოხდა ეს? ყოველივე ამას რადგილობის გამო აქ, ნამდვილად ვერ მოგახსენებთ. გასტონ ბუაჩიძე თავის წინასიტყვაობაში „ბრძენი საბა“, წარმოაჩენს ყოველივე ამას. მას სავსებით ვეთანხმებით, როდესაც ერთმანეთს ახლოვებს ს. ს. ორბელიანისა და ერაზმ როტერდამელის მოღვაწეობასა და იდეებს. თვით ამ გარემოებიდანაც საკმაოდ გამოსჭვივის განათლებულ ქართველთათვის უკვე ორი საუკუნის მანძილზე ესოდენ საამაყო ნაწარმოების ლიტერატურული და დოკუმენტური ღირებულება.

კრებულის იგავები ძაფზე ასხმული მარგალიტების მძივები გეგონებათ. (ამ კომპოზიციას დიახაც რომ სიტყვა „ძაფი“ უხდება). ერთმანეთს თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვება სხვადასხვა გამოცდილებისა თუ მსოფლმხედველობის მქონე მთავარ პერსონაჟთა ნაამბობი, ხოლო მოქმედება სპარსეთის ერთ მომიჯნავე სამეფოში იშლება“.

ამრიგად, ქართული მხატვრული სიტყვის კიდევ ერთ შედევრს გაეცნო ევროპელი მკითხველი.

**სერგო თურნავა**

# დღესასწაული ცაიშში

კიდევ ერთი სახალხო დღესასწაული დამკვიდრდა ჩვენში. ამიერიდან ყოველწლიურად, ივნისის ბოლო კვირას, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში აღნიშნავენ ამ სოფლის მკვიდრის, იონა მეუნარგიას სახელობის დღე.

იმ კვირას ცაიშელი კოლმეურნეები ეგებებოდნენ სტუმრებს, რომლებიც აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ. მათ ყვავილების გვირგვინით შეამკეს კოლმეურნეობის კანტორის ეზოში აღმართული მწერლის ბიუსტი.

სტუმრებმა დაათვალიერეს მწერლის სახლ-მუზეუმი, რომელიც 1966 წელს რუსთაველის საიუბილეო დღეებში გაიხსნა, რითაც აღინიშნა იონა მეუნარგიას წვლილი „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე თარგმნის საქმეში.

მწვანეშია ჩაფლული მუზეუმის კარმიდამო, აქვეა ძველი მეგრული ოდა და ქვითკირის შენობა, სახლი იონა მეუნარგიასი. მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ლაპარაკობს მუზეუმის დირექტორი, სოფელ ცაიშის საშუალო სკოლის პედაგოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯანიერ როგავა.

გამოფენის ერთ-ერთ სტენდზე ვკითხულობთ 1884 წლის „დროებიდან“ ამონაწერს: „რუსთაველი მზეა და, მთვარე მისი მთარგმნელი — მეუნარგია იქნება; რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთოვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენ მოღვაწეთა შორის. ღმერთმა აღდეგრძელოს მეუნარგია“. ილია ჭავჭავაძე.

იონას ცნობილი „უბნის წიგნაკი“ კი ასეთ ჩანაწერს გვთავაზობს: „ვ. გიუგო: ვინ გყავთ გამოჩენილი პოეტი? მე: რუსთაველი; გ: რა დაწერა? მე: საგმირო პოემა „ვეფხისტყაოსანი“, გ: გამიგონია, მხოლოდ შორიდან. საინტერესოა, რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა? მე: მეთორმეტეში. გ: კიდევ უფრო საინტერესოა“.

ეს საუბარი 1877 წელს შემდგარა, იონას პარიზში ყოფნისას, როდესაც ის სანდრო მაყაშვილთან ერთად ვიქტორ ჰიუგოს სწვევია. იონა მეუნარგიას წვლილიც არის იმაში, რომ დღეს მთელი მსოფლიო იცნობს რუსთაველს.

მუზეუმი ბევრ სხვა საინტერესო მასალას გვთავაზობს.

მოწიწებით საუბრობდნენ იონა მეუნარგიას ფასდაუდებელ ღვაწლზე პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ილია თოდუა, რაიონული გაზეთის რედაქტორი ისაკ ქორთუა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ნიკოლოზ კილანავა, რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე კარლო მიქაია, მემორიალური სახლ-მუზეუმის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ბესარიონ ქირია, იონას თანამედროვე და თანასოფლელი ორესტი შამუგია...

გვიანობამდე გრძელდებოდა ახალი სახალხო დღესასწაული ცაიშში.

**მამია ჯოლია**



# უცხოეთის ლიტერატურული ცხოვრება

### გარდაიცვალა ჩარლზ პერსი სნოუ

75 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩარლზ პერსი სნოუ, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ინგლისელი მწერალი, საბჭოთა მკითხველებისათვის ცნობილი რომანების — „ძიება“, „იმედის დრო“, „შინ დაბრუნება“, „საქმე“, „ძალაუფლების დერეფნები“, — და სხვათა ავტორი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სოფიაში მწერალთა პირველი საერთაშორისო შეხვედრის — „მშვიდობა პლანეტის იმედი“ — მონაწილე.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა ჩ. პ. სნოუს ქვრივს, მწერალ პამელა ჰანსფორდ ჯონსონს გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა.

### „გერნიკას“ დაბრუნება

პაბლო პიკასოს ნაწარმოები „გერნიკა“ ბრუნდება დიდი ესპანელი მხატვრის სამშობლოში. ამა წლის ოქტომბერში ცნობილ ტილოს ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიდან მადრიდში ჩამოიტანენ.

შექმნისთანავე „გერნიკამ“ — ფაშიზმის კაცთმოძულე არსის მამხილებელმა ნაწარმოებმა — რეაქციონერების მწვავე სიძულვილი გამოიწვია. ფრანკისტებმა წაართვეს ესპანელებს საშუალება თვალყური ედევნებინათ მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული თანამემამულის შემოქმედებისათვის, აკრძალეს მისი სახელის ხსენება და ფაქტიურად ცდილობდნენ ცოცხალთა სიიდან ამოეშალათ იგი. „სანამ ფრანკოა“, — ამბობდა მხატვარი, რომელიც იძულებული იყო უცხოეთში ემუშავა — ჩემთვის სამშობლოში ადგილი არ არის“. პიკასომ ვერც ნახა საყვარელი ესპანეთი, ისე მოკვდა ემიგრაციაში 1973 წელს.

და მაინც ესპანელმა ხალხმა შეინახა მხატვარი-პატრიოტის ხსოვნა. შარშან მადრიდში მოეწყო პიკასოს საუკეთესო ნაწარმოებთა გამოფენა. მალაგაში, მხატვრის სამშობლოში, გახსნილია მისი სახლ-მუზეუმი. გამოშვებულია საფოსტო მარკების სერია, მიძღვნილი მხატვრის შემოქმედებისადმი. პაბლო პიკასოს სახელი მიენიჭა ესპანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანს.

### მარკესის ახალი რომანი

„ამბავი ჩემს რომანებში შეთხზული არ არის, არც ოცნების ნაყოფია და არც ფანტაზიისა, ეს სინამდვილეა, ყოველდღიური სინამდვილე“, — ამბობს გაბრიელ გარსია მარკესი თავის ახალ რომანზე „ერთი ნეკროლოგის ქრონიკა“. მწერალს, როგორც ცნობილია, არ უყვარს თავის წიგნებზე წინასწარ ლაპარაკი და ინტერვიუში, რომელიც გამოაქვეყნა იუგოსლავურმა გაზეთმა „ბორბამ“ მარტო იმას ამბობს, ახალ რომანს საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი, რომელიც ჩემს ახალგაზრდობაში მოხდა. „ეს არის რომანი მეტად დაძაბული სიუჟეტით, — ხაზს უსვამს მარკესი, — ოცდაათი წელი ვმუშაობდი და რაკიღა მასზე ვლაპარაკობ, ალბათ უკვე დამთავრებულადაც ვთვლი. ვწერ ძალზე ძნელად, ყოველ სტრიქონს რამდენჯერმე ვამუშავებ, მარტო მაშინ-ღა, როცა დავრწმუნდები რაღაცას მივაღწიე-მეთქი, ხელახლა აღარ ვკითხულობ და არც სხვისი წაკითხვისა მეშინია“...

„რომანების წერა უფრო იოლია, ვიდრე მოთხრობებისა, — ამტკიცებს მარკესი, — უბედურებაა, თუ ორი-სამი წელია მუშაობ და რომანი მაინც არ გამოდის... ვფიქრობ, რომ რომანზე მუშაობა აგურ-აგურ შენობის აგებას გავს, მოთხრობის შექმნა კი — ბეტონის კონსტრუქციებით შენებას. პირველ შემთხვევაში, თუ კედელი არ მოგწონთ, შეგიძლიათ გამოიღოთ რამდენიმე აგური და დაიწყოთ იმგვარად შენება, როგორადაც უფრო მოგეწონებათ... მოთხრობა კი მონოლითური უნდა იყოს, მოთხრობიდან არაფრის ამოღება არ შეიძლება და თუ არ მოგწონთ, უბრალოდ უნდა გადააგდოთ და ახალი დაიწყოთ. რომანი შეიძლება გასწორდეს, შეიძლება შეილესოს ბზარები, მაგრამ თუ მოთხრობაში ერთი ბზარი მაინცაა — იგი მთლიანად ინგრევა“.

გამოდის პარასკეობით
(ფასი 10 კაპ.)

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ღვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 03825